

**საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N 1140 2010 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი**

**სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის
შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის
სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური
რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის
დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად და “სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის N965 განკარგულების გათვალისწინებით დამტკიცდეს თანდართული სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამა.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2010 წლის 25 აგვისტოს
N 1140 განკარგულებით

**სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების,
ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში
საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების
მიღების სამთავრობო პროგრამა**

კარი I

თავი 1. ტექსტში გამოყენებული შემოკლებები

- | | |
|-------------|--|
| BIPM | - წონისა და საზომების საერთაშორისო ბიურო |
| CAB | - შესაბამისობის შემფასებელი ორგანო |

CASCO	- სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისობის შეფასების ტექნიკური კომიტეტი
CEN	- ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი
CENELEC	- ევროპის ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის კომიტეტი
CIPM	- წონისა და საზომების საერთაშორისო კომიტეტი
COOMET	- ეროვნული მეტროლოგიური უწყებების ევრო-აზიური თანამშრომლობა
DCFTA	- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
EA	- აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა
EA MAC	- EA-ს მრავალმხრივი შეთანხმების კომიტეტი
EC	- ევროკომისია
EEA	- ევროპული ეკონომიკური ზონა
EMC	- ელექტრომაგნიტური თავსებადობის დირექტივა
EU	- ევროკავშირი
ESO	- ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაცია
GAC	- სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი (შემდგომში – აკრედიტაციის ცენტრი)
GEOSTM	- სსიპ – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
GEPLAC	- ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი
GOG	- საქართველოს მთავრობა
GOST	- სახელმწიფო სავალდებულო სტანდარტი (სსრკ)
GPSD	- პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა
GCPM	- წონისა და საზომების გენერალური კონფერენცია
IAF	- აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი
IEC	- საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია
IFC	- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი
ILAC	- საერთაშორისო თანამშრომლობა ლაბორატორიების აკრედიტაციაში
ISO	- სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
LDPD	- წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა
LVD	- დაბალი ძაბვის დირექტივა
MOED	- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MLA	- მრავალმხრივი აღიარების შეთანხმება
MRA	- ურთიერთაღიარების შეთანხმება
OECD	- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OIML	- სამართლებრივი მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაცია
OJ	- ოფიციალური გამოცემა
PCA	- პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება

- RAPEX** - ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემა
- RIA** - რეგულირების ზემოქმედების შეფასება
- SI** - ერთეულთა საერთაშორისო სისტემა
- TA** - ტექნიკური დახმარება
- TACIS** - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტექნიკური დახმარება
- TAIEX** - ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი
- TBI** - დასადგენია
- TBT** - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში
- TNT** - ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერები
- VIM** - მეტროლოგიის საერთაშორისო ლექსიკონი
- WTO** - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
- WTO TBT** - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ
- Q** - კვარტალი.

თავი 2. ტერმინთა განმარტება

№	ტერმინი	განმარტება
1	სერტიფიკაცია	პროცედურა, რომლის მეშვეობითაც მესამე მხარე წერილობითი ფორმით ამოწმებს, რომ პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნას (ISO)
2	შესაბამისობა	პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნასთან შესაბამისობა (ISO)
3	შესაბამისობის შეფასება	ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება შესაბამისი მოთხოვნების დაცვის დადგენას. კერძოდ, შესაბამისობის შეფასება ეხება პროცესთა სხვადასხვაობას, სადაც განსაზღვრულია, რომ საქონელი ან/და მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ნებაყოფლობით ან სავალდებულო სტანდარტებს ან სპეციფიკაციას (ISO)
4	შესაბამისობის შეფასების პროცედურა	ნებისმიერი პროცედურა, რომელიც გამოიყენება ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი მოთხოვნების ან სტანდარტების შესრულების დასადგენად (ISO)
5	ჰარმონიზებული სტანდარტები	ერთსა და იმავე საგანთან დაკავშირებით სტანდარტიზაციის სხვადასხვა ორგანოს მიერ დამტკიცებული სტანდარტი, რომელიც ადგენს პროდუქციის, პროცესისა და მომსახურების ურთიერთჩანაცვლებადობას ან ურთიერთგაგებას ამ სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული ტესტების შედეგებთან ან ინფორმაციასთან დაკავშირებით (ISO)
6	ურთიერთალიარება	შეთანხმება შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარებისა და გამოყენების შესახებ (ISO)
7	ვაჭრობის არასატარიფო	სამთავრობო შეთანხმება, იმპორტის მაღალი ტარიფის გარდა, რომელიც აფერხებს იმპორტს. ვაჭრობის არასატარიფო

	ბარიერები (NTB)	ბარიერის სახეებია: ექსპორტის სუბსიდირება, ვალუტის გაცვლითი კურსის მანიპულაციები, დისკრიმინაციული საბაჟო სახდელები, დროში გაჭიმული საბაჟო პროცედურები, იმპორტის მინიმალური ფასების დადგენა, არამიზანშეწონილი სტანდარტები და ინსპექტირების პროცედურები, იმპორტის ლიცენზირება
8	სტანდარტი	დოკუმენტი, შემუშავებული კონსენსუსის საფუძველზე და დამტკიცებული აღიარებული ორგანოს მიერ, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა სახის საქმიანობისა თუ მისი შედეგებისათვის და რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში ოპტიმალური მოწესრიგების მიღწევა (ISO)
9	სტანდარტიზაცია	ტექნიკური სტანდარტის შეთანხმების პროცესი (ISO)
10	შეთანხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ	საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს, რომ: (1). პროდუქციის სავალდებულო რეგულირება, (2). პროდუქციის ნებაყოფლობითი სტანდარტები და (3). შესაბამისობის შეფასების პროცედურები (პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს პროდუქციის ტესტირებას მისი სავალდებულო რეგლამენტებთან ან ნებაყოფლობით სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად) არ გახდეს არასაჭირო წინააღმდეგობა საერთაშორისო ვაჭრობისათვის და არ მოხდეს მათი გამოყენება ვაჭრობის შესაფერხებლად (UNCTAD)
11	ტექნიკური ბარიერი ვაჭრობაში (TBT)	ეროვნული მარეგულირებელი პროცედურა, რომელიც იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს (WTO)
12	ტექნიკური რეგლამენტი	დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს, შესაბამისი ადმინისტრაციული მოთხოვნების ჩათვლით, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ის ასევე შეიძლება ექსკლუზიურად მოიცავდეს ან განსაზღვრავდეს ტერმინოლოგიას, სიმბოლოებს, შეფუთვის, მარკირებისა და ეტიკეტირების მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება პროდუქტზე, პროცესზე ან წარმოების მეთოდზე (WTO)
13	ტესტი/გამოცდა	ტექნიკური ოპერაცია, რომელიც მოიცავს მოცემული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის დადგენის პროცესს კონკრეტული პროცედურის შესაბამისად (ISO)

თავი 3. სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის მოკლე შინაარსი და აღწერა

სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის (შემდგომში – სამთავრობო პროგრამა) მიზანს წარმოადგენს TBT-ს გაუქმებისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნა, ტექნიკური რეგლამენტებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, ადამიანთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და გარემოს დაცვისათვის შესაბამისი დონის უზრუნველყოფა. სამთავრობო პროგრამის მიზანია ასევე ევროკომისიის მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინება საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით – აწარმოოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების თაობაზე.

ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა წარმოადგინა რეკომენდაციები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) თაობაზე სამომავლო მოლაპარაკებების დაწყების პროცესთან დაკავშირებით.

სამთავრობო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის N965 განკარგულების „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ საფუძველზე და მის მიზანს წარმოადგენს სტრატეგიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულება.

სამთავრობო პროგრამა შედგება ოთხი ქვეპროგრამისაგან:

ინსტიტუციონალური განვითარების ქვეპროგრამა, რომელიც აღწერს, თუ რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს და რისი შემუშავებაა საჭირო საქართველოს მთავრობის მიერ, რათა მიღწეულ იქნეს პროგრესი ადგილობრივი ინსტიტუციონალური სისტემის შექმნაში ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, მეტროლოგიის, შესაბამისობის შეფასების და ბაზარზე ზედამხედველობის სფეროებში, მიღწეულ იქნეს პროგრესი ამ საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტების გასაძლიერებლად. სამთავრობო პროგრამა ასევე მოიცავს ტექნიკური დახმარების მონახაზს და ავლენს იმ სფეროებს, რომლებშიც საქართველოს დასჭირდება ტექნიკური მხარდაჭერა ევროკავშირისაგან, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გაგებული ევროკავშირის ნორმატივები;

ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების შემოღების ქვეპროგრამა, რომელშიც მოცემულია პრიორიტეტულ სამრეწველო სექტორებში დირექტივების შემოღების თანმიმდევრობა და დადგენილია კანონმდებლობაში მათი შემოღების შესაბამისი ვადები;

შესაბამისი სამართლებრივი საქმიანობის ქვეპროგრამა განსაზღვრავს იმ სამართლებრივ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისათვის, და ამ მიზნისათვის აუცილებელი შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებას;

ზოგადი კანონმდებლობის დაახლოების ქვეპროგრამა აღწერს, თუ რა ცვლილებები უნდა შევიდეს ადგილობრივ კანონმდებლობაში, რათა იგი შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას.

კარი II. ინსტიტუციონალური განვითარების ქვეპროგრამა

შესავალი

ინსტიტუციონალური განვითარების ქვეპროგრამა შექმნილია სხვადასხვა ინსტიტუტებში გამოვლენილი საკითხების მოსაგვარებლად, რათა მიღწეულ იქნეს საერთაშორისო აღიარება ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში, და მოიცავს ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხას. ქვეპროგრამაში მოცემულია მიზნები და ის პასუხისმგებელი სააგენტოები, რომლებმაც დასახული მიზნების შესრულებისათვის უნდა ჩაატარონ საჭირო ღონისძიებები შესაბამის ვადებში. ქვეპროგრამა ითვალისწინებს „შეთავაზებას ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სტრატეგიული გეგმის შესახებ, რომელიც მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა „აკრედიტაცია“, „სტანდარტიზაცია“, „მეტროლოგია“, და მომზადებულია EC TACIS პროექტის „საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების 51-ე მუხლის (ხარისხის ინფრასტრუქტურა) იმპლემენტაციის მხარდაჭერა“ (*შესყიდვების განაცხადი: Europe Aid/125078/C/SER/GE*) დახმარებით.

საქართველოს მთავრობის შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს ბაზრის ზედამხედველობის სამთავრობო სტრატეგიის შემუშავება, რომელმაც უნდა მოიცვას ინსტიტუტების სტრუქტურებისა და პროცედურების ჩამოყალიბება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ბაზრის ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელი შესაბამისი სააგენტოების ინსტიტუციონალური ეფექტიანობა, მასში ასევე ასახული იქნება ბაზრის ზედამხედველობის პირების ინსტიტუციონალური განთავსების/უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხი ბაზარზე არსებული სხვადასხვა კატეგორიის პროდუქციისათვის (რომელიც დაექვემდებარება ბაზარზე ზედამხედველობას).

საქართველოს მთავრობამ დაიწყო რეფორმების განხორციელება სამთავრობო პროგრამის ფორმალურად მიღებამდე.

TBT სფეროში გადადგმულია შემდეგი ნაბიჯები:

საკანონმდებლო რეფორმა, [პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის¹ შემუშავება – გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგია და სამთავრობო პროგრამა მრავალმხრივი დოკუმენტია და მოიცავს ბევრ სფეროს, რომლებშიც აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა და დივერსიფიცირება, მიმდინარეობს [პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის] შემუშავება, რომელშიც სრულყოფილად გაიწერება ყველა აუცილებელი ცვლილება და დამატება. კოდექსის პროექტის შემუშავება უნდა დასრულდეს 2010 წლის ოქტომბერში.

ინსტიტუციონალური რეფორმა – შეიქმნა ბაზრის ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელი სააგენტო – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია. 2010 წლის აპრილიდან საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის და არქიტექტურისა და მშენებლობის ინსპექციის ბაზაზე შეიქმნა ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია. ინსტიტუციონალური რეფორმის მიზანია,

¹ სათაურის სამუშაო ვარიანტი

შექმნას ფუნდამენტური ბაზა ბაზრის ზედამხედველობის ეფექტიანი ორგანოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ეტაპობრივად შეიძენს საკმარის უფლებამოსილებას და ადმინისტრაციულ რესურსს ბაზარზე სხვა პროდუქციის ეფექტური ზედამხედველობისთვისაც;

შევიდა ცვლილებები „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების მიზანია სამართლებრივი მეტროლოგიის სფეროში ხარვეზების აღმოფხვრა. განისაზღვრა იმ დაკანონებული გამზომი საშუალებების სია, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო დამოწმებას, ასევე დამოწმების ჩატარების ინტერვალები.

ცვლილებების შესაბამისად მოხდა ტერმინოლოგიისა და განმარტებების შემდგომი სრულყოფა VIM-ის (მეტროლოგიის საერთაშორისო ლექსიკონის) შესაბამისად.

შესაბამისმა ცვლილებებმა უზრუნველყო „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის დაახლოება OIML-ის ID1-თან (მეტროლოგიის მოდელური კანონი).

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
1	GEOSTM-ის ინსტიტუციონალიზებული მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; GEOSTM	სტანდარტიზაციის ტექნიკური პრიორიტეტული კომიტეტები იდენტიფიცირებულია, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა უზრუნველყოფილია შეიქმნება სულ ცოტა ორი ტექნიკური კომიტეტი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ISO-სა და CEN-ის სარკისებურ კომიტეტებში მონაწილეობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს BIPM-ისა და COOMET-ის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება	2008 წლიდან და შემდგომ Q2, 2010 2007 წლიდან და შემდგომ 2007 წლიდან და შემდგომ
2	ხარისხის საბჭოს შექმნა პრიორიტეტების გამოვლენისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მომავალი ხარისხის საბჭოს შექმნისათვის პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შექმნილია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და ეფექტური კომუნიკაცია დამყარებულია ხარისხის საბჭოს (QC) წესდების პროექტი მომზადებულია ხარისხის საბჭო შექმნილია და წესდება დამტკიცებულია	Q1-Q4 2009 Q3 2009 შესრულებულია Q4 2009 (QC გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/2347, 19.10.2009)

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
3	GEOSTM-ის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების	საქართველოს მთავრობა; საქართველოს	მომსახურების სავასურების გადახედვა GEOSTM-ის ფინანსური შესაძლებლობების ასახვის მიზნით	2010

	გაპლიერება	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; GEOSTM	შენიშნა მასის სტანდარტული ლაბორატორიისათვის მომზადებულია ტექნიკის ინსტალაცია მასის ეტალონურ ლაბორატორიაში დასრულებულია შენიშნა ქიმიური მეტროლოგიის ლაბორატორიისათვის მზადაა ქიმიური მეტროლოგიის ლაბორატორიაში ტექნიკის ინსტალაცია დასრულებულია PTB-ის პროექტის მეორე ფაზა დაწყებულია ორმხრივი PTB-ის პროექტის II ფაზის ფარგლებში მეორე ლაბორატორიისათვის საჭიროებების შეფასება (აღჭურვილობის კუთხით) ჩატარებულია (სავარაუდოდ, ელექტროგაზომების ლაბორატორია) TWINING-ის პროექტი „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ დაწყებულია WTO TBT-ის საინფორმაციო ცენტრის ტექნიკური ბაზა განახლებულია; ეტალონური ლაბორატორიისათვის აღჭურვილობის საჭიროების შეფასება ჩატარებულია ქვეყნის შესაძლებლობების გათვალისწინებით და აუცილებელი აღჭურვილობის სია შედგენილია TWINING-ის პროექტის ფარგლებში	Q2 2010 Q2-Q3 2010 Q3, 2010 Q3-Q4, 2010 Q2-Q3 2010 Q1-Q2 2011 Q3-Q4 2011 Q4 2012 Q2 2013
4	WTO TBT-ის საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს TBT-ის შეთანხმების ფორმალურ მოთხოვნებს და შესრულებს ადგილობრივი საინფორმაციო საკონტაქტო პუნქტის ფუნქციებს ტექნიკური რეგლამენტების საკითხებზე WTO-სა და მისი წევრი სახელმწიფოებისათვის	საქართველოს მთავრობის დადგენილება; GEOSTM	საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 სექტემბრის N170 დადგენილება ცენტრის შექმნა და ტექნიკურად აღჭურვა ტრენინგი თანამშრომლებისათვის EU-ს წევრი ქვეყნების საინფორმაციო ცენტრების საქმიანობის საკითხებზე (მინ. 2 ადამიანი) ცენტრის შემდგომი მოდერნიზება	შესრულებულია Q3 2009 შესრულებულია Q4 2009, აღჭურვილია ლიტვის სამთავრობო TA პროექტის შესაბამისად 2008 - 2012 2011-2012

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
5	GEOSTM-ის ადამიანური რესურსის შესაძლებლობების განვითარება	საქართველოს მთავრობა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; GEOSTM	პრიორიტეტული ლაბორატორიების შიდა თანამშრომლებისთვის საკვალიფიკაციო პროგრამების (მეტროლოგია ქიმიამი, მასა, ელექტრონერგია) მომზადება მიმდინარეობს შიდა აუდიტორებისათვის საკვალიფიკაციო პროგრამების მომზადება მიმდინარეობს (ISO 9001, ISO 17025) ტრენინგპროგრამა TC (ტექნიკური კომიტეტების) თავმჯდომარის და/ან მდივნისა და ტექნიკური ექსპერტებისათვის შედგენილია GEOSTM-ის ტრენინგცენტრი სრულად მოქმედა, შესაბამისი ტრენინგმოდულები შემუშავებულია მეტროლოგია სამუშაო ჯგუფი გაზომვათა განუსაზღვრელობის საკითხებზე შექმნილია, GEOSTM-ის ექსპერტები გაზომვების სხვადასხვა სფეროდან ჩართულნი არიან გაზომვათა განუსაზღვრელობა (მინ. 2 პირი გაზომვების პრიორიტეტული სფეროდან) ISO/IEC 17025 მოთხოვნები (მინ. 8 პირი) CMC-ის დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობების საკითხები (მინ. 8 პირი) სტანდარტიზაცია საინფორმაციო უზრუნველყოფა, IT-ის ინსტრუმენტების გამოყენება (მინ. 3 პირი) ევროპული სტანდარტების შემუშავება, მიღება, რეგისტრაცია (მინ. 2 პირი) თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტიზაციის ორგანიზაციების ტექნიკურ	Q4 2010 Q2 2011 Q3 2011 Q4 2012 შექმნილია EC TACIS პროექტის ფარგლებში 2008-2013 2008-2013 Q2-Q3 20120 2008-2012 2008-2012 2008-2012

			კომიტეტთან (მინ. 2 პირი) WTO TBT-ის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების ტრენინგი დასრულებულია	Q4 2012
--	--	--	---	---------

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
6	ინტეგრაცია საერთაშორისო/რეგიონალურ ორგანიზაციებში	საქართველოს მთავრობა; GEOSTM	<p>ეროვნული ელექტროტექნიკური კომიტეტის შექმნა და მასში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა IEC-თან თანამშრომლობა და საერთო ლონისძიებები შედგა IEC-თან მემორანდუმის გაფორმება GEOSTM IEC-ის ასოცირებული წევრია</p> <p>თანამშრომლობა და საერთო ლონისძიებები CENELEC-თან შედგა (GEOSTM-ი მზადაა დააკმაყოფილოს CENELEC-ში წევრობის კრიტერიუმები) შეფასება შიდა სამუშაო პროცედურების CENELEC-ის აფილირებული წევრის სტატუსის შესაბამისობასთან დაკავშირებით წევრობაზე განაცხადის წარდგენა GEOSTM-ი CENELEC-ის აფილირებული წევრია OIML-თან თანამშრომლობის დამყარება OIML-ის წევრობისათვის განაცხადის გაკეთება</p>	<p>შეიქმნა Q2 2009</p> <p>Q4 2009</p> <p>Q2 2010 Q2 2010, შესრულებულია Q3 2010</p> <p>Q2-Q3 2011</p> <p>Q4 2011 2012</p> <p>Q2-Q3 2010 2011</p>

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
7	ეროვნული გაზომვების ეტალონების SI ერთეულებთან მოკვლევადობის ხარისხის გაზრდა პრიორიტეტულ სფეროებში	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; GEOSTM; GAC	<p>GEOSTM-ის მონაწილეობა საერთაშორისო შედარებებში (საკვანძო /დამატებითი/ორმხრივი) შედარებები</p> <p>ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნა მოკვლევადობის ხარისხის გაძლიერებისათვის აკრედიტაციის სფეროში გამოყენებისათვის შედარებები ელექტრობის, მაიონიზებული გამოსხივების, pH მეტრიასა და კონდუქტივობაში დასრულებულია ერთი ლაბორატორიათაშორისი შედარება ორგანიზებულია GEOSTM-ს მიერ ადგილობრივი ლაბორატორიებისათვის გაზომვების პრიორიტეტულ სფეროში (მაგ., ელექტრული გაზომვები, ხარჯის გაზომვები) პრიორიტეტულ სფეროებში ეროვნული ეტალონური ლაბორატორიებისათვის შესაფერისი ფიზიკური შენობა-ნაგებობის, პირობების უზრუნველყოფა QMS (ხარისხის მენეჯმენტის სისტემები) ISO/IEC 17025-ის შესაბამისად</p> <p>ადამიანური შესაძლებლობების/რესურსების განვითარება, ტრენინგები</p>	<p>აქტივაციის პროცესში 2009 წლის მე-4 კვარტალიდან (ტემპერატურა, ელექტროენერჯია, ქიმიური მეტროლოგია, იონიზებული რადიაცია) 2010</p> <p>Q2 2010</p> <p>Q4 2012</p> <p>მიმდინარეობს (მასის და ქიმიური გაზომვების ლაბორატორიები – Q4 2010)</p> <p>მიმდინარეობს (გააქტივება 2011 წლიდან TWINING-ის პროექტის ფარგლებში)</p> <p>2008-2014 (მუდმივად)</p>

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
8	საერთაშორისო სტანდარტების საყოველთაო გამოყენება (ქვეყნის ფარგლებში)	საქართველოს მთავრობა; GEOSTM	<p>საზოგადოების გაცნობიერებულობის ამაღლება საერთაშორისო სტანდარტების უპირატესობებისა და სარგებლის შესახებ</p> <p>GEOSTM-ის ვებგვერდის განახლება</p> <p>ეროვნული სტანდარტების მიღებისა და რეგისტრაციის პროცესი (მათ შორის, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიღება) სრულად შეესაბამება WTO TBT-ის მოთხოვნებსა და საერთაშორისო პრაქტიკას</p> <p>სტანდარტიზაციის სტრატეგიული დოკუმენტი 2012-2015 წლებისათვის განახლებული და გამოქვეყნებულია, მოქმედების გეგმა შემუშავებული და გამოქვეყნებულია</p> <p>პრიორიტეტული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ეროვნულ სტანდარტებად მიღების პროცესი დასრულებულია</p> <p>პრიორიტეტული ჰარმონიზებული სტანდარტები და დოკუმენტები თარგმნილია ქართულ ენაზე (დაახლ. 500 გვერდი)</p> <p>პროგრამა შეტყობინებებისა და ინფორმაციის მიწოდების პროცედურის თაობაზე ტექნიკური რეგლამენტების სფეროში WTO TBT-ის შეთანხმების შესაბამისად შემუშავებულია და მოქმედებს</p> <p>გაყიდვების, მარკეტინგის, ინფორმაციის და სხვა მომსახურების მიწოდების სტანდარტები გაუმჯობესებულია</p>	<p>მიმდინარეობს მუდმივად</p> <p>Q4, 2009</p> <p>Q4 2010</p> <p>Q2 2011</p> <p>Q3-Q4 2011</p> <p>Q3-Q4 2012</p> <p>Q4 2013</p> <p>Q4 2013</p>

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
9	GEOSTM-ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა მიღწეულ იქნეს აღიარება რეგიონალურ და/ან საერთაშორისო დონეზე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, GEOSTM	<p>COOMET-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერება გაზომვების მოკვლევადობის უზრუნველყოფისათვის</p> <p>GEOSTM-ის ხარისხის დოკუმენტაცია მზადების პროცესშია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) შიდა აუდიტის ჩატარებისათვის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი (ISO/IEC 17025, ISO/IEC 9001)</p> <p>GEOSTM-ის ხარისხის დოკუმენტაცია</p>	<p>მიმდინარე, 2007 წლიდან და შემდგომ</p> <p>Q3 2011</p> <p>Q4 2011</p> <p>Q2-Q3 2012</p>

			<p>დასრულებულია და მზადაა ინგლისურ ენაზე ყველა სექციის შიდა აუდიტი დასრულებულია მენეჯმენტის შეფასება ჩატარებული და შესაბამისი ჩანაწერები გაკეთებულია</p> <p>GEOSTM-ის განაცხადს აკეთებს მისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზეპირი პრეზენტაციისათვის COOMET-ის (რეგიონალური მეტროლოგიის ორგანიზაცია) ხარისხი ფორუმზე QF</p> <p>GEOSTM-მა წარმატებით ჩაატარა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზეპირი პრეზენტაცია COOMET-ის QF-ზე</p> <p>GEOSTM-ი განაცხადს აკეთებს QMS-ის თანასწორ ექსპერტთა შეფასებაზე of COOMET-ის QF-ზე</p> <p>GEOSTM-მა ჩაატარა QMS-ის წინასწარი შეფასება მაკორექტირებელი ღონისძიებები</p> <p>იდენტიფიცირებულია და რეალიზებულია GEOSTM-ის სტანდარტიზაციის დეპარტამენტს დანერგილი აქვს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001 შესაბამისად</p> <p>QMS-ის თანასწორ ექსპერტთა შეფასება COOMET-ის ხარისხის ფორმის მიერ ISO 17025 მიხედვით დასრულებულია</p> <p>ყველა აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიება განხორციელებული და დადასტურებულია COOMET-ის QF-ის ექსპერტთა შემფასებლების მიერ</p> <p>COOMET-ი გასცემს GEOSTM-ის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის აღიარების სერტიფიკატს</p> <p>GEOSTM-ის სულ ცოტა 2 ლაბორატორია არის საერთაშორისოდ აღიარებული</p> <p>GEOSTM-ს აქვს სულ ცოტა 2 CMC's ჩანაწერი BIPM KCDB-ის მონაცემთა ბაზაში</p>	<p>Q3 2012</p> <p>Q3 2012</p> <p>Q3 2012</p> <p>Q2-Q3 2012</p> <p>Q3 2012</p> <p>Q1-Q2 2013</p> <p>Q2 2013</p> <p>Q2 2013</p> <p>Q4 2013</p> <p>Q4 2013</p> <p>Q4 2013 - Q1 2014</p> <p>Q1 2014</p> <p>Q1 2014</p>
--	--	--	--	--

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
10	ღონისძიებების გააქტიურება, რათა პრიორიტეტულ სფეროებში საჭირო მეტროლოგიური მომსახურება ხელმისაწვდომი გახდეს ქვეყნის შიგნით	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, GEOSTM	<p>ხარისხის საბჭოს და სხვა დაინტერესებული მხარეების მეშვეობით პრიორიტეტების იდენტიფიცირება</p> <p>რესურსების იდენტიფიცირება</p> <p>სამოქმედო გეგმის შემუშავება</p> <p>TOR სახელმძღვანელო საქართველო-გერმანიის ერთობლივი PTB-ის პროექტის მეორე ფაზისათვის მომზადებულია</p> <p>ქიმიური მეტროლოგიის ლაბორატორიისათვის შენობა მომზადებულია</p> <p>ქიმიური მეტროლოგიის ლაბორატორიაში ტექნიკის ინსტალაცია დასრულებულია</p> <p>არსებული რეგიონალური და საერთაშორისო თანამშრომლობის გამოყენება (CIPM MRA-ს ხელმოწერი ქვეყნების მეტროლოგიური ინსტიტუტების გაზომვის ეტალონების გამოყენების დამუშავება) საქართველოში</p>	<p>მიმდინარეობს</p> <p>მიმდინარეობს 2010 წელს Q4, 2010 Q3-Q4 2010</p> <p>Q4 2010</p> <p>Q4 2010</p> <p>მიმდინარეობს</p>
11	საჯარო-კერძო-პარტნიორობის მოდელის გამოყენება GEOSTM-ის ორგანიზაციულ სტრუქტურაში	საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, GEOSTM	<p>საჯარო-კერძო-პარტნიორობის ხარისხის გადახედვა</p> <p>GEOSTM-ის, როგორც ბაზრის მონაწილის მოქმედების გადახედვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი</p>	<p>მიმდინარეობს</p> <p>მიმდინარეობს</p>
12	CAB-ის სისტემის შემდგომი განვითარება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე	საქართველოს მთავრობა, GEOSTM, GAC	<p>აკრედიტაციის გამოყენება, როგორც სასურველი საშუალება CAB-ების ტექნიკური კომპეტენციის დასადასტურებლად</p> <p>ISO შესაბამისობის შეფასების კომიტეტის (CASCO) საქმიანობაში მონაწილეობა</p> <p>მეკავშირე/პასუხისმგებელი პირების დანიშვნა EA-სა და ILAC-ის ტექნიკურ კომიტეტებთან ურთიერთობისათვის</p>	<p>მიმდინარეობს</p> <p>Q2, 2010</p> <p>Q3, 2010</p>

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
13	ღონისძიებების დაწყება GAC-ის საერთაშორისო	საქართველოს ეკონომიკისა და	GAC-სა და EA-ს შორის თანამშრომლობის კონტრაქტის გაფორმება	Q4, 2009(გაფორმებულია)

	ადიარების აკრედიტაციის ევროპულ თანამშრომლობაში (EA) ასახვის მიზნით	მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; GAC		
14	GAC-ის ფინანსური მდგრადობის გადახედვა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; GAC	დამტკიცებულია აკრედიტაციისათვის ახალი გადასახადების და მათი კალკულაციის წესები	Q3 2010
15	GAC-ში ძირითადი სექტორული ტექნიკური კომიტეტების შექმნა	GAC	სექტორული ტექნიკური კომიტეტების შექმნა აკრედიტაციაში სხვადასხვა მიმართულებებისთვის: პირველ რიგში, სამი კომიტეტის შექმნა, და სხვა კომიტეტების შექმნა მოხდება შესაბამისი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში	2010 2010
16	EA, ILAC, IAF-ის ყველა აუცილებელი დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების შემოღება	GAC	EA, ILAC, IAF-ის ამ ეტაპისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სახელმძღვანელო თარგმანი ინგლისურიდან დასრულებულია და მიმდინარეობს მათი დაწერვა აკრედიტაციის პრაქტიკაში	2010
17	აკრედიტაციის პროცედურების დაახლოება საერთაშორისო პრაქტიკასთან	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; GAC	GAC-ის ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებები შეტანილია	2010
18	GAC-ის ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების განხორციელება	საქართველოს მთავრობა	აკრედიტაციის საბჭოს შექმნა: აკრედიტაციის თავში გათვალისწინება, [პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების კოდექსი] აკრედიტაციის საბჭოს შექმნა საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უკეთესი მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის	2010 2010

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
19	GAC-ის ინსტიტუციონალური შესაძლებლობის გაძლიერება	საქართველოს მთავრობა; GAC	შემფასებელთა მომზადება GAC-ის საქმიანობის ყველა მიმართულებისათვის მინიმუმ 5 მოდულირებული ტრენინგი შემფასებლებისათვის (20 პირი) დასრულებულია სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შეფასების ორგანოებისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დონორი ორგანიზაციებისადმი თხოვნა გაკეთდეს, რათა მხარი დაუჭირონ და GAC-ის წარმომადგენლებისათვის ჩატარონ ტრენინგები სამუშაო ადგილზე ევროპულ აკრედიტაციის ორგანოებში ISO/IEC17020 (საინსპექციო ორგანოები), ISO/IEC17025 (ტესტირებისა და დაკალიბრების ლაბორატორიები) და ISO/IEC17000 სერიის სხვა სტანდარტების შესაბამისად	2010-2011 2010-2011
20	შესაბამის კვალიფიკაციაზე გამოცდების და სხვა შედარებების პროგრამების წესის ქონა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება	GAC	აკრედიტაციის ცენტრს აქვს კვალიფიკაციაზე ტესტირებისა და სხვა შედარებითი პროგრამების სათანადო სია. ინფორმაცია კვალიფიკაციაზე ტესტირების ჩამტარებლების შესახებ მოცემულია GAC-ის ვებგვერდზე	Q4, 2010
21	აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში GAC-ის მონაწილეობის გაუმჯობესება (EA, ILAC, IAF)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; GAC	EA, ILAC, IAF-ის ტექნიკური კომიტეტებსა და სხვა სტრუქტურულ ორგანოებში მონაწილეობა: პირველი მონაწილეობა IAF /ILAC-ის გენერალურ ასამბლეაში 2010 წელს ILAC-ის კომიტეტებთან კომუნიკაციის დამყარება (ეთხოვოს დონორ ორგანიზაციებს ამ ღონისძიებების მხარდაჭერა) GAC და EA-ს შორის თანამშრომლობის კონტრაქტის შეცვლა ასოცირებული წევრის სტატუსით	2010 წლიდან და შემდგომ 2010 Q1 2011

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
22	ISO/IEC 17011 იმპლემენტაცია და GAC-ის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება საერთაშორისო სახელმძღვანელოების შესაბამისად	GAC	GAC-ის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (QMS) გადასინჯულია და დამტკიცებულია საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ტრენინგი GAC-ის თანამშრომლებისათვის GAC-ის მენეჯმენტის სისტემის საკითხებზე	2010-2011 2010-2011
23	ISO/IEC-ის სტანდარტების სრული იმპლემენტაცია CAB-ების აკრედიტაციისათვის	GAC	დადგენილია გარდამავალი პერიოდი ISO/IEC-აკრედიტაციის სტანდარტების სრული იმპლემენტაციისათვის და ლაბორატორიებსა და სხვა შესაბამისობის შეფასების ორგანოებში შესაბამისი მენეჯმენტის სისტემებისათვის. ამ გარდამავალი პერიოდისათვის გაზომვების მიკვლევადობის ეროვნული სახელმძღვანელო შემუშავებული და გამოყენებულია	2010-2012 2010-2012
24	ახალი მხარდაჭერის პროექტების განხორციელება (Twinning ან ENPI)	GAC	TWINING პროექტი აკრედიტაციაში დაწყებულია	2011
25	GAC-ის ტრენინგები CAB-ებისათვის	GAC	GAC-ის ტრენინგის ჩატარება GAC-ის მიერ აკრედიტებული ორგანოებისათვის და შესაბამისობის შეფასების ორგანოებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან აკრედიტაციით, და სადაც აიხსნება ახალი მიდგომები ტექნიკურ და მართვის საკითხებისადმი (მხარდაჭერ პროექტთან ერთად)	2010-2012

N	მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	საქმიანობა	ვადები
26	კვალიფიკაციაზე ტესტირების სფეროში მომსახურების შექმნა საქართველოში	GAC	ტარდება მხარდასაჭერი ღონისძიებები კვალიფიკაციაზე ტესტირების სფეროში მომსახურების შექმნისათვის (მხარდაჭერ პროექტთან ერთად)	2010-2013
27	GAC-ის მზადყოფნა EA-ს მიერ კოლეგიალური შეფასებისათვის	GAC, კვალიფიცირებული შემფასებლები	GAC-ის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (QMS) სრული შიდა აუდიტი ჩატარებულია EA-ს წესების შესაბამისად GAC-ის წინასწარი კოლეგიალური შეფასების ორგანიზება	2012 2013
28	GAC-ის პირველი შეფასება EA-ს მხრიდან	GAC, EA	EA-ს შემფასებლების მიერ GAC-ის პირველი კოლეგიალურ ექსპერტა შეფასება ჩატარებულია	2014
29	MLA/MRA აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მხარედ გახდომა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, GAC	GAC-ის, როგორც MLA EA-ს ხელმძღვანელი ILAC-ის MRA და IAF ხელმძღვანელი (როგორც მიზანშეწონილია)	2015 2016-2017

კარი III. ახალი და გლობალური მიდგომების დირექტივების შემოღების ქვეპროგრამა

შესავალი

ახალი და გლობალური მიდგომების დირექტივების შემოღების ქვეპროგრამის შემუშავებისას პირველი კვლევა და შესაბამისი ანალიზი ჩატარდა სამუშაო ჯგუფის და ადგილობრივი ექსპერტების მიერ.

პრიორიტეტულ დარგებში დირექტივების იდენტიფიცირების მიზნით რანგირებისა და დაჯგუფების მეთოდი იქნა გამოყენებული, რომელიც ეფუძნებოდა ექსპერტთა მოსაზრებებს და რეგულირების გავლენის წინასწარი შეფასების (RIA) მეთოდს.

ექსპერტებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ექვსი კრიტერიუმი და თითოეულ მათგანს მიენიჭა შესაბამისი წონა. დირექტივის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან მიმართებაში ანალიზის საფუძველზე მოხდა თითოეული დირექტივის რანგირება, დირექტივები დაჯგუფდა სხვადასხვა ჯგუფებად ეტაპობრივი შემოღების მიზნებისათვის.

- გამოვლინდა დირექტივების ხუთი ჯგუფი:
 - პირველი ჯგუფი დაყოფილია სამ ქვეჯგუფად და მოიცავს ექვს დირექტივას (პირველი ქვეჯგუფი: ადამიანთა გადასაყვანად გამიზნული საბაგრო მოწყობილობები 2000/9/EC; ლიფტები 95/16/EC; მეორე ქვეჯგუფი: წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები 97/23/EC; მარგი ქმედების მოთხოვნები თხევადი ან გაზის საწვავზე მომუშავე ცხელი წყლის ახალი ბოილერებისათვის 92/42/EEC; ჩვეულებრივი წნევის ჭურჭელი 87/404/EEC; მესამე ქვეჯგუფი: რეკრეაციული მოწყობილობები 94/25/EC);
 - მეორე ჯგუფი დაყოფილია ორ ქვეჯგუფად და მოიცავს ხუთ დირექტივას: (პირველი ქვეჯგუფი: სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები 93/15/EEC; ფეთქებად ატმოსფეროში გამოსაყენებელი მოწყობილობები (ATEX) 94/9/EC; მეორე ქვეჯგუფი: რადიოტექნიკის მოწყობილობები და ტელეკომუნიკაციების ტერმინალის მოწყობილობები და მათი შესაბამისობის შეფასების ურთიერთალიარება 1999/5/EC; ელექტრომაგნიტური თავსებადობა (EMC) 2004/108/EC; დაბალი ძაბვა 2006/95/EC);
 - მესამე ჯგუფი შედგება სამი დირექტივისაგან: (სამედიცინო მოწყობილობები 93/42/EEC; ინ-ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები 98/79/EC; აქტიურად იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობები 90/385/EEC);
 - მეოთხე ჯგუფი შედგება სამი დირექტივისაგან: აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები 90/396/EEC; პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE) 89/686/EEC; მოწყობილობა/მექანიზმები 98/37/EC);
 - მეხუთე ჯგუფი შედგება ოთხი დირექტივისაგან: (სათამაშოების უსაფრთხოება 88/378/EEC; სამშენებლო მასალები 89/106/EEC; არაავტომატური საწონი ინსტრუმენტები 90/384/EEC; გამზომი ინსტრუმენტები 2004/22/EC);
 - პირველი ჯგუფის დირექტივების ინკორპორირება/მიღება უნდა მოხდეს სტრატეგიისა და სამთავრობო პროგრამის მიღებიდან პირველ 36 თვეში;
 - სხვა ჯგუფების მიღება მოხდება პირველი ჯგუფის სრულად ინკორპორირების/მიღების შემდეგ და უფრო დეტალურად გაიწერება ქვეპროგრამაში.

ახალი და გლობალური მიდგომების დირექტივების შემოღების/ინკორპორირების ქვეპროგრამაში მოცემული თანმიმდევროვა და ვადები ასევე შეთანხმდა ევროკომისიასთან (ბრუსელი, CHAR 9/214, 26 ნოემბერი, 2009 წელი).

გარდა პირველი ჯგუფისა, სხვა ჯგუფებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა გეგმავს უფრო კომპლექსურ RIA-ს და თეორიული და კვლევითი მტკიცებულებების საფუძველზე შესაძლოა გადაიხედოს დირექტივების ადგილობრივ კანონმდებლობაში შემოღების/ინკორპორირების რიგითობა. წარმოდგენილი რიგითობა შეიძლება ასევე დაექვემდებაროს გადახედვას ადგილობრივი წარმოების საჭიროებებიდან გამომდინარე, ცვალებადი სავაჭრო პირობების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე.

ჯგუფის № შემოღების/ინკორპორირების პერიოდი		№	დირექტივის კონსოლიდირებული ვერსია
I ჯგუფი 36 თვე	I ქვეჯგუფი	1	ადამიანთა გადასაცვანად გამოიზნული საბაგირო მოწყობილობები 2000/9/EC
		2	ლიფტები 95/16/EC
	II ქვეჯგუფი	3	წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები 97/23/EC
		4	მარგი ქმედების მოთხოვნები თხევადი ან გაზის საწვავზე მომუშავე ცხელი წყლის ახალი ზოილერებისათვის 92/42/EEC
		5	ჩვეულებრივი წნევის ჭურჭელი 87/404/EEC
	III ქვეჯგუფი	6	რეკრეაციული მოწყობილობები 94/25/EC
II ჯგუფი	I ქვეჯგუფი	7	სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები 93/15/EEC
		8	ფეთქებად ატმოსფეროში გამოსაყენებელი მოწყობილობები (ATEX) 94/9/EC
	II ქვეჯგუფი	9	რადიოტექნიკის მოწყობილობები და ტელეკომუნიკაციების ტერმინალის მოწყობილობები და მათი შესაბამისობის შეფასების ურთიერთადიარება 1999/5/EC
		10	ელექტრომაგნიტური თავსებადობა (EMC) 2004/108/EC
		11	დაბალი ძაბვა 2006/95/EC
III ჯგუფი		12	სამედიცინო მოწყობილობები 93/42/EEC
		13	ინ-ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები 98/79/EC
		14	აქტიურად იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობები 90/385/EEC
IV ჯგუფი		15	აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები 90/396/EEC

	16	პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE) 89/686/EEC
	17	მოწყობილობა/მექანიზმები 98/37/EC
V ჯგუფი	18	სათამაშოების უსაფრთხოება 88/378/EEC
	19	სამშენებლო მასალები 89/106/EEC
	20	არაავტომატური საწონი ინსტრუმენტები 90/384/EEC
	21	გამზომი ინსტრუმენტები 2004/22/EC

ჯგუფი I. ინკორპორირების/მიღების ვადები

№	დირექტივა	ინკორპორირების/მიღების ვადა (თვეები) ¹																											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28
1	ადამიანი გადასაცმად გამიზნული საბავშვო მოწყობილობები 2000/9/EC																												
2	ლიფტები 95/16/EC																												
3	წვეთის ქსელ მიმსუქვე მოწყობილობები 97/23/EC																												
4	მრიცხველების მოიხონები თხევადი ან გაზის სიჩქარე მომზადებელი წყლის ახალი მოდიფიკაციებისათვის 92/42/EEC																												
5	ჩველადი წვეთის ქსელისათვის 87/404/EEC																												
6	რეკრეაციული მოწყობილობები 94/25/EC																												

² დროის ახალი თვეები პროგრამის მიღებიდან

ჯგუფი I (6 დირექტივა)

ქვეჯგუფი 1 (2 დირექტივა)

ადამიანთა გადასაცმად გამიზნული საბავშვო მოწყობილობები 2000/9/EC									
დირექტივა	შესაბამისი პარამონიტორული სტანდარტები	პასუხისმგებელი უწყება	ჩართული უწყებები		მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი	სამართლებრივი ინკორპორაციის სახე	რესურსები	ინკორპორირება/მიღება	
			სამთავრობო	არასამთავრობო				დაწყების თარიღი (თვე)	დასრულების თარიღი (თვე)

2000/9/EC	<p>EN 1709:2004 EN 1908:2004 EN 1909:2004 EN 12385-8:2002 EN 12385-9:2002 EN 12397:2004 EN 12927-1:2004 EN 12927-2:2004 EN 12927-3:2004 EN 12927-4:2004 EN 12927-5:2004 EN 12927-6:2004 EN 12927-7:2004 EN 12927-8:2004 EN 12929-1:2004 EN 12929-2:2004 EN 12930:2004 EN 13107:2004 EN 13223:2004 EN 13243:2004/AC:2005 EN 13796-1:2005 EN 13796-1:2005/AC:2007 EN 13796-2:2005 EN 13796-3:2005</p>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს გარემოს დაცვისა და ზუნებრივი რესურსების სამინისტრო	ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია	GAC GEOSTM	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	იმპორტიორები და მომხმარებლები	შპს „ბაგირზა“	<p>ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის №22 ბრძანება</p> <p>“სამში საწარმო ობიექტის სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ”</p> <p>ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის №21 ბრძანება</p> <p>“სამში საწარმო ობიექტებზე უზედლო შემოხვევის გარეშე მომხდარი ავარიების ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ”</p>	<p>ტექნიკური რეგლამენტების მიღების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს [კოდექსი პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ]</p> <p>ტექნიკური რეგლამენტების მიღება საქართველოს მთავრობის დადგენილებით</p> <p>ჰარმონიზებული სტანდარტების საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად მიღება მათი სტანდარტების რეესტრში რეგისტრაციის მეშვეობით თავფურცლის მეთოდის გამოყენებით, GEOSTM-ის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე საერთაშორისო პრაქტიკისა და წესების შესაბამისად (ISO სახელმძღვანელო 21, WTO TBT დანართი 3)</p>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი	+	ტექნიკური დანხარება	0	12
-----------	---	--	--	-----------------------------------	---------------	------------------------------------	-------------------------------	---------------	--	---	---	---	---------------------	---	----

ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2000/9/EC ადამიანთა გადასაცვანად გამიზნული საბაგირო მოწყობილობები (OJ L 106, 2000-05-03)

ESO	ჰარმონიზებული სტანდარტის მითითება და სახელწოდება (და მითითებული დოკუმენტი)	OJ-ში პირველი გამოქვეყნების თარიღი
CEN	EN 1709:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Precommissioning inspection, maintenance, operational inspection and checks	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 1908:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Tensioning devices	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 1909:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Recovery and evacuation	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12385-8:2002 Steel wire ropes - Safety - Part 8: Stranded hauling and carrying-hauling ropes for cableway installations designed to carry persons	C 97 of 2003-04-24
CEN	EN 12385-9:2002 Steel wire ropes - Safety - Part 9: Locked coil carrying ropes for cableway installations designed to carry persons	C 97 of 2003-04-24
CEN	EN 12397:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Operation	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12927-1:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 1: Selection criteria for ropes and their end fixings	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12927-2:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 2: Safety factors	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12927-3:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 3: Long splicing of 6 strand hauling, carrying hauling and towing ropes	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12927-4:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 4: End fixings	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12927-5:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 5: Storage, transportation, installation and tensioning	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12927-6:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 6: Discard criteria	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12927-7:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 7: Inspection, repair and	C 100 of 2005-04-26

	maintenance	
CEN	EN 12927-8:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Ropes - Part 8: Magnetic rope testing (MRT)	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12929-1:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - General requirements - Part 1: Requirements for all installations	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12929-2:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - General requirements - Part 2: Additional requirements for reversible bicable aerial ropeways without carrier truck brakes	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 12930:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Calculations	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 13107:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Civil engineering works	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 13223:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Drive systems and other mechanical equipment	C 100 of 2005-04-26
CEN	EN 13243:2004 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Electrical equipment other than for drive systems	C 100 of 2005-04-26
	EN 13243:2004/AC:2005	C 230 of 2005-09-20
CEN	EN 13796-1:2005 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Carriers - Part 1: Grips, carrier trucks, on-board brakes, cabins, chairs, carriages, maintenance carriers, tow-hangers	C 230 of 2005-09-20
	EN 13796-1:2005/AC:2007	C 271 of 2007-11-14
CEN	EN 13796-2:2005 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Carriers - Part 2: Slipping resistance test for grips	C 230 of 2005-09-20
CEN	EN 13796-3:2005 Safety requirements for cableway installations designed to carry persons - Carriers - Part 3: Fatigue tests	C 230 of 2005-09-20

95/16/EC ლეგატები

დ ი რ ე ქ ტ ი მ ა	შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტები	პასუხისმგებელი უწყება	ჩართული უწყებები		მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი	სამართლებრივი ინკორპორაციის სახე	რესურსები	ინკორპორირება/მიღება	
			სამთავრობო	არასამთავრობო				დაწყების თარიღი (თვე)	დასრულების თარიღი (თვე)

95/16/EC	<p>EN 81-1:1998 EN 81-1:1998/A1:2005 EN 81-1:1998/A2:2004 EN 81-1:1998/AC:1999 EN 81-2:1998 EN 81-2:1998/A1:2005 EN 81-2:1998/A2:2004 EN 81-2:1998/AC:1999 EN 81-21:2009 EN 81-28:2003 EN 81-58:2003 EN 81-70:2003 EN 81-70:2003/A1:2004 EN 81-71:2005+A1:2006 EN 81-72:2003 EN 81-73:2005 EN 12016:2004+A1:2008 EN 12016:2004+A1:2008 EN 12385-5:2002 EN 12385-5:2002/AC:2005 EN 13015:2001+A1:2008 EN 13411-7:2006+A1:2008</p>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<p>ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია</p> <p>GAC</p> <p>GEOSTM</p> <p>თბილისის, ქუთაისის და ბათუმის მუნიციპალიტეტები</p>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	<p>საქართველოს კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"</p> <p>ლიფტების მოწყობის და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები (საწარმოებში უსაფრთხოების ზედამხედველობის შესახებ სსრკ მინისტრთა კაბინეტის და სამთო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით 26.01.1971)</p> <p>ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის №20 ბრძანება „საშიში საწარმოო ობიექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტის ჩატარების წესის შესახებ“</p> <p>ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის №21 ბრძანება "საშიში საწარმოო ობიექტებზე უზედური შემთხვევის გარეშე მომხდარი ავარიების ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ"</p> <p>ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის №22 ბრძანება "საშიში საწარმოო ობიექტის სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეესტრაციის წესის შესახებ"</p> <p>საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის №227 დადგენილება "სსიპ – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ"</p> <p>ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 21 ოქტომბრის №35 ბრძანება "საშიში საწარმოო ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის სანებართვო მოწმობის ფორმის თაობაზე"</p>	<p>ტექნიკური რეგლამენტების მიღების ოურიდიულ საფუძველს წარმოადგენს <i>კოდექსი პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ</i></p> <p>ტექნიკური რეგლამენტების მიღება საქართველოს მთავრობის დადგენილებით</p> <p>ჰარმონიზებული სტანდარტების საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად მიღება მათი სტანდარტების რეესტრში რეესტრაციის მეშვეობით თავფურცლის მეთოდის გამოყენებით, GEOSTM-ის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე საერთაშორისო პრაქტიკისა და წესების შესაბამისად (ISO სახელმძღვანელო 21, WTO TBT დანართი №3)</p>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი	0	12
----------	---	--	---	------------------------------------	--	--	---	---	----

ESO	ჰარმონიზებული სტანდარტის მიითება და სახელწოდება (და მიითებული დოკუმენტი)	მიითება წინა სტანდარტზე	OJ-ში პირველი გამოქვეყნების თარიღი
CE N	EN 81-4:1998 Safety rules for the construction and installation of lifts - Part 1: Electric lifts	31/03/1999	
	EN 81-1:1998/A1:2005	02/08/2006	Date expired (02/08/2006)
	EN 81-1:1998/A2:2004	06/08/2005	Date expired (06/08/2005)
	EN 81-1:1998/AC:1999	08/09/2009	
Note 4 EN 81-28:2003 supersedes partly clause 14.2.3 of EN 81-1 and EN 81-2 with regard to alarm systems and EN 81-1 and EN 81-2 would be modified accordingly at the next revision.			
CE N	EN 81-2:1998 Safety rules for the construction and installation of lifts - Part 2: Hydraulic lifts	31/03/1999	
	EN 81-2:1998/A1:2005	02/08/2006	Date expired (02/08/2006)
	EN 81-2:1998/A2:2004	06/08/2005	Date expired (06/08/2005)
	EN 81-2:1998/AC:1999	08/09/2009	
Note 4 EN 81-28:2003 supersedes partly clause 14.2.3 of EN 81-1 and EN 81-2 with regard to alarm systems and EN 81-1 and EN 81-2 would be modified accordingly at the next revision.			
CE N	EN 81-21:2009 Safety rules for the construction and installation of lifts - Lifts for the transport of persons and goods - Part 21: New passenger and goods passenger lifts in existing building	This is the first publication	
CE N	EN 81-28:2003 Safety rules for the construction and installation of lifts - Lifts for the transport of persons and goods - Part 28: Remote alarm on passenger and goods passenger lifts	10/02/2004	
Note 4 EN 81-28:2003 supersedes partly clause 14.2.3 of EN 81-1 and EN 81-2 with regard to alarm systems and EN 81-1 and EN 81-2 would be modified accordingly at the next revision.			
CE N	EN 81-58:2003 Safety rules for the construction and installation of lifts - Examination and tests - Part 58: Landing doors fire resistance test	10/02/2004	
CE N	EN 81-70:2003 Safety rules for the construction and installations of lifts - Particular applications for passenger and good passengers lifts - Part 70: Accessibility to lifts for persons including persons with disability	06/08/2005	
	EN 81-70:2003/A1:2004	06/08/2005	
CE N	EN 81-71:2005+A1:2006 Safety rules for the construction and installation of lifts - Particular applications to passenger lifts and goods passenger lifts - Part 71: Vandal resistant lifts	11/10/2007	Date expired (11/10/2007)
CE N	EN 81-72:2003 Safety rules for the construction and installation of lifts - Particular applications for passenger and goods passenger lifts - Part 72: Firefighters lifts	10/02/2004	
CE N	EN 81-73:2005 Safety rules for the construction and installation of lifts - Particular applications for passenger and goods passenger lifts - Part 73: Behaviour of lifts in the event of fire	02/08/2006	
CE N	EN 12016:2004+A1:2008 Electromagnetic compatibility - Product family standard for lifts, escalators and moving walks - Immunity	28/10/2008	28/12/2009
CE N	EN 12385-3:2004+A1:2008 Steel wire ropes - Safety - Part 3: Information for use and maintenance	28/10/2008	28/12/2009
CE N	EN 12385-5:2002 Steel wire ropes - Safety - Part 5: Stranded ropes for lifts	06/08/2005	
	EN 12385-5:2002/AC:2005	08/09/2009	
CE N	EN 13015:2001+A1:2008 Maintenance for lifts and escalators - Rules for maintenance instructions	28/10/2008	28/12/2009
C E N	EN 13411-7:2006+A1:2008 Terminations for steel wire ropes - Safety - Part 7: Symmetric wedge socket	08/09/2009	28/12/2009

ქვეჯგუფი 2 (3 დირექტივა)

წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები 97/23/EC

დირექტივა	შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტები			პასუხისმგებელი უწყება	ჩართული უწყებები		მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი	სამართლებრივი ინკორპორაციის სახე	რესურსები	ინკორპორირება/მიღება						
					სამთავრობო	არასამთავრობო				დაწვევის თარიღი (თვე)	დასრულების თარიღი (თვე)					
29	<p>მწარმოებელი არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროდუქტის პროექტირებისა და წარმოებისათვის იმ მიზნით, რომ ეს პროდუქტი განათავსოს ბაზარზე საკუთარი სახელით.</p> <p>მწარმოებელი ვალდებულია იზრუნოს, რომ პროდუქტი, რომელიც გამიზნულია ბაზარზე განსათავსებლად, იყოს დაპროექტებული და წარმოებული ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>მწარმოებელს შეუძლია გამოიყენოს მზა პროდუქტები, ნაწილები ან კომპონენტები ან მოახდინოს ამ ფუნქციების გადაცემა ქვეკონტრაქტის საფუძველზე. თუმცა იგი მუდამ ინარჩუნებს საერთო კონტროლს, აუცილებელ ცოდნას და პასუხისმგებლობას პროდუქტთან მიმართებაში.</p> <p>პროდუქტის მწარმოებელი არის პირი, რომელიც თავად აწარმოებს პროდუქტს ან რომელიც პროდუქტზე საკუთარი სახელის დატანით თავს წარმოადგენს როგორც მწარმოებელი; პროდუქტის გადამკეთებელი ასევე ითვლება მწარმოებლად.</p> <p>მწარმოებელი ასევე არის პირი, რომელსაც არ აქვს წარმომადგენლობა ან არ აწარმოებს პროდუქტს საქართველოში.</p> <p>მიწოდების პროცესში სხვა პირები ასევე ითვლებიან მწარმოებლებად იმდენად, რამდენადაც მათმა საქმიანობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების კომპონენტებზე.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი
30	<p>ტექნიკური დოკუმენტაცია: მწარმოებელმა უნდა შეადგინოს ტექნიკური ფაილი (ტექნიკური დოკუმენტაცია). ტექნიკური დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას პროდუქტის პროექტირების, წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
31	<p>ავტორიზებული წარმომადგენელი: მწარმოებელმა შეიძლება დანიშნოს ნებისმიერი პირი ავტორიზებულ წარმომადგენლად. ავტორიზებული წარმომადგენელი პირდაპირ არის დანიშნული მწარმოებლის მიერ და მწარმოებლის ნაცვლად მას შეიძლება მიმართონ უფლებამოსილმა პირებმა ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით.</p> <p>ზოგადად, მწარმოებელი პასუხისმგებელია ავტორიზებული წარმომადგენლის ქმედებებისათვის.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი
32	<p>იმპორტიორი/ბაზარზე განთავსებისათვის პასუხისმგებელი პირი: იმპორტიორი (პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბაზარზე განთავსებისათვის) არის ნებისმიერი პირი, რომელიც სხვა ქვეყნის პროდუქციას განათავსებს საქართველოს ბაზარზე. იმპორტიორმა უნდა უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ინფორმირება პროდუქტის შესახებ, როდესაც მწარმოებელი ან ავტორიზებული წარმომადგენელი არ ოპერირებს საქართველოში.</p> <p>პირი, რომელიც ახორციელებს პროდუქტის იმპორტს საქართველოში, შეიძლება, ზოგიერთ სიტუაციაში, ჩაითვალოს იმ პირად, რომელმაც უნდა იკისროს მწარმოებელზე დაკისრებული ვალდებულებები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი
33	<p>იმპორტიორმა (პირმა, რომელიც პასუხისმგებელია ბაზარზე განთავსებისათვის) უნდა მიაწოდოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი და უნდა უზრუნველყოს პროდუქტის ტექნიკური დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. ეს პასუხისმგებლობა ეკისრება იმპორტიორს (პირს, რომელიც პასუხისმგებელია ბაზარზე განთავსებისათვის) მხოლოდ მაშინ, როდესაც მწარმოებელი ან ავტორიზებული წარმომადგენელი არ ოპერირებს საქართველოში.</p> <p>იმპორტიორი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულების მიზნით უზრუნველყოფის კონტაქტს მწარმოებელთან.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
---	---	-------------------------------	---------------------------

34	<p>დისტრიბუტორი დისტრიბუტორი არის ნებისმიერი პირი მიწოდების პროცესში, რომლის საქმიანობაც არ ახდენს გავლენას პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.</p> <p>დისტრიბუტორები ვალდებული არიან იმოქმედონ სათანადო ყურადღებით და მოფრთხილებით, რათა უზრუნველყონ ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობა, კერძოდ, მათ არ უნდა მიაწოდონ ისეთი პროდუქტი, რომლის შესახებაც იციან ან მათ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა სცოდნოდათ, რომ პროდუქტი არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. კერძოდ, თავისი საქმიანობის ფარგლებში მათ უნდა მიიღონ მონაწილეობა ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების მონიტორინგში, განსაკუთრებით, პროდუქტის რისკის თაობაზე ინფორმაციის გადაცემის სახით, და ითანამშრომლონ ამ რისკების ასაცილებლად.</p> <p>დისტრიბუტორად უნდა ჩაითვალოს პირი, რომელიც კომერციული მიზნებისათვის ჩართულია პროდუქტის მიწოდების პროცესში ამ პროდუქტის ბაზარზე განთავსების შემდეგ.</p> <p>დისტრიბუტორმა უნდა იმოქმედოს სათანადო გულისხმიერებით, რათა აშკარად შეუსაბამო პროდუქტი არ მოხვდეს ბაზარზე. ასეთის შემთხვევაში მან უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს.</p> <p>შესაბამისად, მან არ უნდა მიაწოდოს პროდუქტი, რომლის შესახებაც იცის ან უნდა სცოდნოდ, რომ პროდუქტი არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნას. ასევე, ქმედითად უნდა ითანამშრომლოს, რათა თავიდან აიცილოს ან შეამციროს ასეთი რისკები. დისტრიბუტორის პირობებისათვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები პროდუქტის შესაბამისობის დაცვისათვის.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი
35	<p>ამწყობი და დამმონტაჟებელი ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ამწყობი და დამმონტაჟებელი იღებს აუცილებელ ზომებს, რომ პროდუქტი ისევ შესაბამებოდეს ძირითად მოთხოვნებს ამ პროდუქტის ქვეყნის შიგნით პირველად გამოყენების მომენტში. ეს შეეხება ასევე იმ პროდუქტებს, რომელთა ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს ექსპლუატაციაში გაშვებას, სადაც ამგვარმა ჩარევებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ პროდუქტის შესაბამისობაზე.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
36	<p>მომხმარებელი (დამკირავებელი) ადგილობრივი კანონმდებლობა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობების შესახებ ახდენს გავლენას სამუშაო ადგილზე გამოყენებული ტექნიკური რეგლამენტებით რეგულირებული პროდუქტის მოხმარებასა და შენახვაზე.</p> <p>დამსაქმებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რომ სამუშაო ადგილზე მოქმედი ტექნიკა (მაგალითად, დანადგარები და აპარატები), რომელიც ხელმისაწვდომია დასაქმებულებისათვის, იყოს უსაფრთხო და არ აყენებდეს ზიანს ჯანმრთელობას.</p> <p>დასაქმებულები ზოგადად პასუხისმგებლები არიან, იზრუნონ საკუთარი და სხვა პირების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე სამუშაოს შესრულების პერიოდში.</p> <p>დამკირავებლის მიერ გაცემული შესაბამისი მითითებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე მათ სწორად უნდა გამოიყენონ დანადგარები, მოწყობილობები, წარმოების სხვა საშუალებები და პირადი დაცვის საშუალებები.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
	პასუხისმგებლობა პროდუქტისათვის		

37	<p>წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის მოთხოვნები მოიცავს საქართველოში წარმოებულ ან საქართველოში იმპორტირებულ ნებისმიერ პროდუქტს, რომელმაც გამოიწვია პირების ან კერძო საკუთრების დაზიანება.</p> <p>წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის მოთხოვნები ადგენს საქართველოში მწარმოებელსა და იმპორტიორებზე პროპორციული პასუხისმგებლობის რეჟიმს.</p> <p>მწარმოებელმა უნდა მოახდინოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოიწვია წუნდებულმა პროდუქტმა პირებისა (გარდაცვალება, დაზიანება) და კერძო საკუთრების (პირადი სასაგებობისთვის განკუთვნილი საქონელი) მიმართ.</p> <p>კანონი არ ვრცელდება წუნდებულ პროდუქტზე, თუ მისი დაზიანებით არ მოხდა პირის ან კერძო საკუთრების ხელიყოფა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ამ კოდექსით შეუძლებელია.</p>	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	ძალაშია
38	<p>ამ დირექტივის შესაბამისად მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი, თუ ის დაამტკიცებს, რომ:</p> <p>ა) მან არ განათავსა პროდუქტი მიმოქცევაში; ან</p> <p>ბ) გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა წუნი/დეფექტი, რომელმაც გამოიწვია ზიანი, არ არსებობდა იმ პერიოდისათვის, როდესაც პროდუქტი გაეიდა მიმოქცევაში მის მიერ, ან ეს დეფექტი წარმოიშვა შემდგომში; ან</p> <p>გ) მის მიერ წარმოებული პროდუქტი არ იყო გამიზნული რეალიზაციისათვის ან ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისათვის ეკონომიკური მიზნით ან არ იყო წარმოებული ან გავრცელებული მის მიერ მისი ბიზნესსაქმიანობის პერიოდში; ან</p> <p>დ) წუნი/დეფექტი გამოწვეულია სახელმწიფო ორგანოს მიერ დაწესებული სავალდებულო რეგლამენტის შესაბამისობის გამო; ან</p> <p>ე) მეცნიერული ან ტექნიკური ცოდნა პროდუქტის მიმოქცევაში განთავსების მომენტისათვის არ იყო იმგვარი, როგორც საშუალებას მისცემდა წუნის/დეფექტის აღმოჩენისათვის; ან</p> <p>ვ) კომპონენტის მწარმოებლის შემთხვევაში, წუნი/დეფექტი გამოწვეულია პროდუქტის დიზაინით, რომელშიც ეს კომპონენტი მოთავსებული, ან მითითების საფუძველზე, რომელიც გაცემულია იმ პროდუქტის მწარმოებლის მიერ, რომელიც თავის პროდუქტში იყენებს ამ კომპონენტს.</p>	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	ძალაშია

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
	შესაბამისობის შეფასება და მოდულები		
39	<p>შესაბამისობის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:</p> <p>სტანდარტები ნებაყოფლობითია და შემუშავებულია სახელმწიფო და კერძო პირების მიერ; ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა მოცემულია ტექნიკურ რეგლამენტებში;</p> <p>არ არსებობს მესამე მხარის მიერ სერტიფიცირების ვალდებულება ბაზარზე განთავსებამდე ტესტირებისათვის;</p> <p>რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასებას ახორციელებენ მხოლოდ აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირები;</p> <p>ინდუსტრიული საქონლისათვის შესაბამისობის შეფასების წარმოება ხდება აკრედიტებული შესაბამისობის შეფასების პირების მიერ;</p> <p>მწარმოებელი გამოიყენებს შესაბამისობის შეფასების საერთაშორისოდ დადგენილ ფორმებს, მათ შორის, ტექნიკური რეგლამენტებისადმი შესაბამისობის თვითდეკლარირებას;</p> <p>შესაბამისობის შეფასების მიღების შედეგები/დოკუმენტები, რომლებიც გაცემულია განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში (EU, OECD) აკრედიტებული შესაბამისობის შეფასების სააგენტოების მიერ;</p> <p>არ არსებობს დამატებითი შესაბამისობის შეფასების მოთხოვნა იმ პროდუქტისათვის, რომელსაც გააჩნია განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის ქვეყნების ნიშანდება;</p> <p>შესაბამისობის შეფასების პირების ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობა.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი	პროექტი

40	<p>შესაბამისობის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებია: თანმიმდევრული მიდგომა შემუშავებულია კანონმდებლობაში, შესაბამისი მოდულების მეშვეობით, რომლებიც შეეხება შესაბამისობის შეფასების პროცედურების სხვადასხვა ფაზებს, და ამ პროცედურების გამოყენებისათვის კრიტერიუმების ჩამოყალიბება, მათი ოპერირების მიზნით შესაბამისი პირებისათვის უფლებამოსილების მინიჭება; ხარისხის გარანტიასთან დაკავშირებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები და შესაბამისობის შეფასების პირების მიერ შესასრულებელი მოთხოვნები უნდა იყოს რეგისტრირებული და გამოყენებული; აკრედიტაციის სისტემის ჩამოყალიბება და ურთიერთშეადრების სისტემის ხელშეწყობა; ურთიერთ და ცალმხრივი აღიარება ტესტირებისა და სერტიფიცირების საკითხში გაძლიერებულია; მწარმოებლებს შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისობის შეფასების პროცედურები.</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</p>	პროექტი
----	---	--	---------

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
41	<p>შესაბამისობის შეფასების წარმოება ხდება ტექნიკურად კომპეტენტური შესაბამისობის შეფასების პირების მიერ, აკრედიტაცია სასურველია CAB-ების კომპეტენციის დემონსტრირების მიზნით. შესაბამისობის შეფასება შეიძლება ჩატარდეს შესაბამისობის შეფასების პირების მიერ, რომელთაც გააჩნიათ აკრედიტაცია EU ან OECD ქვეყნებში.</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</p>	პროექტი
42	<p>შესაბამისობის შეფასება ეფუძნება: - მწარმოებლების შიდა სტრუქტურისა და წარმოების შიდა კონტროლით; - მესამე მხარის ტიპის შემოწმება მწარმოებლის შიდა კონტროლით; - მესამე მხარის ტიპის ან სტრუქტურის შემოწმება პროდუქტის მესამე მხარის მიერ პროდუქტის ან წარმოების ხარისხის გარანტიის სისტემების ან მესამე მხარის მიერ პროდუქტის შემოწმების დამტკიცებასთან ერთად; - მესამე მხარის მიერ პროდუქტის ან ხარისხის გარანტიის სისტემის დამტკიცება ან მესამე მხარის მიერ პროდუქტის ვერიფიკაცია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მესამე მხარის ტიპის ან დიზაინის შემოწმების გარეშე; - სრული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დადასტურება მესამე მხარის მიერ.</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</p>	პროექტი
43	<p>ბაზარზე პროდუქტის განთავსებამდე, მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის შეფასების პროცედურების დაკმაყოფილება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნაწილი</p>	პროექტი
44	<p>საქართველო ადასტურებს, რომ პროდუქტები, რომლებიც ატარებს შესაბამის ნიშანდებს, აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტების პირობებს. შესაბამისად, საქართველო არ აკრძალავს, არ შეზღუდავს ან არ შეუშლის ხელს გარკვეული აღნიშვნების მატარებელი პროდუქტის ბაზარზე განთავსებაში ან ექსპლუატაციაში გაშვებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნიშანდება არასწორად არის გაკეთებული.</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</p>	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
45	<p>შესაბამისობის შეფასება იყოფა მოდულებად, რომლებიც შედგენილია სხვადასხვა შეზღუდული რაოდენობის პროცედურებისაგან, რომლებიც მოქმედებს სხვადასხვა პროდუქტებზე: - მოდულები შეეხება პროდუქტის დაპროექტების, მათი წარმოების ფაზას ან ორივეს. რვა საბაზისო მოდული და მათი რვა შესაძლო ვარიანტი შეიძლება განსხვავებულად კომბინირებული იყოს ერთმანეთთან, რათა დააკმაყოფილოს შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმები; - ზოგადად, პროდუქტი ექვემდებარება შესაბამისობის შეფასებას მოდულის თანახმად, როგორც დაპროექტების, ასევე წარმოების ფაზაზე; - ტექნიკური რეგლამენტი აღწერს შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესაძლო თანმიმდევრობას და შემადგენლობას, სათანადო დაცვის ხარისხის უზრუნველყოფისათვის. ტექნიკური რეგლამენტები აღწერს შესაძლო შესაბამისობის შეფასების პროცედურებს, რომლებიც იძლევიან დაცვის სათანადო დონეს. ტექნიკური რეგლამენტები ასევე ადგენენ კრიტერიუმებს იმ პირობების თაობაზე, რომლებიდანაც მწარმოებლებს შეუძლიათ არჩევანის გაკეთება, თუ არსებობს არჩევანი ერთზე მეტი ვარიანტიდან.</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</p>	პროექტი
46	<p>პროპორციულობის პრინციპი ასევე მოითხოვს ტექნიკურ რეგლამენტში გაუმართლებელი პროცედურებისაგან გათავისუფლებას და აყალიბებს მხოლოდ ძირითად მოთხოვნებს. ალტერნატიულად დირექტივები ასევე ადგენენ ყველა პროდუქტისათვის პროცედურებს, რომელთაგანაც მწარმოებელს შეუძლია აირჩიოს გარკვეული პროცედურები.</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის</p>	პროექტი

		შეფასების ნაწილი	
--	--	------------------	--

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
47	<p>ძირითადი მოდულები:</p> <p>A - წარმოების შიდა კონტროლი - მოიცავს შიდა დიზაინს და წარმოების კონტროლს. ეს მოდული არ მოითხოვს შეტყობინების სააგენტოს მიერ რაიმე ზომის მიღებას.</p> <p>B - შემოწმება - მოიცავს დიზაინის ფაზას და მას მოსდევს მოდული, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ფაზის შეფასებას. შემოწმების სერტიფიკატს გასცემს შეტყობინების სააგენტო.</p> <p>C - შესაბამისობა ტიპის მიმართ - მოიცავს წარმოების ფაზას და მოსდევს მოდულ B-ს. უზრუნველყოფს შესაბამისობას იმ ტიპთან, რომელიც აღწერილია შემოწმების სერტიფიკატში და რომელიც გაიცემა მოდულ B-ს შესაბამისად. ეს მოდული არ მოითხოვს შეტყობინების სააგენტოს მიერ რაიმე ქმედების განხორციელებას.</p> <p>D - წარმოების ხარისხის გარანტია - მოიცავს წარმოების ფაზას და მოსდევს მოდულ B-ს. გამომდინარეობს ხარისხის გარანტიის სტანდარტიდან EN ISO 9002, შეტყობინების სააგენტოს მონაწილეობით, რომელიც პასუხისმგებელია მწარმოებლის მიერ წარმოების ხარისხის სისტემის დამტკიცებისა და შემოწმებისათვის, საბოლოო პროდუქტის ინსპექტირებისა და მწარმოებლის მიერ პროდუქტის ტესტირებისათვის.</p> <p>E - პროდუქტის ხარისხის გარანტია - მოიცავს წარმოების ფაზას და მოსდევს B-ს. გამომდინარეობს ხარისხის გარანტიის სტანდარტიდან EN ISO 9003, შეტყობინების სააგენტოს მონაწილეობით, რომელიც პასუხისმგებელია მწარმოებლის მიერ წარმოების ხარისხის სისტემის დამტკიცებისა და შემოწმებისათვის, საბოლოო პროდუქტის ინსპექტირებისა და მწარმოებლის მიერ პროდუქტის ტესტირებისათვის.</p> <p>F - პროდუქტის ვერიფიკაცია - მოიცავს წარმოების სფეროს და მოსდევს მოდულ B-ს. შეტყობინების სააგენტო აკონტროლებს შესაბამისობას ტიპის მიმართ, როგორც ეს მოცემულია მოდულ B-ს შესაბამისად გაცემულ შემოწმების სერტიფიკატში, და გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს.</p> <p>G - ერთეულის ვერიფიკაცია - მოიცავს დიზაინისა და წარმოების ფაზას. თითოეული პროდუქტი მოწმდება შეტყობინების სააგენტოს მიერ, რომელიც გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს.</p> <p>H - სრული ხარისხის გარანტია - მოიცავს დიზაინისა და წარმოების ფაზას. გამომდინარეობს ხარისხის გარანტიის სტანდარტიდან EN ISO 9001, შეტყობინების სააგენტოს მონაწილეობით, რომელიც პასუხისმგებელია მწარმოებლის მიერ წარმოების ხარისხის სისტემის დამტკიცებისა და შემოწმებისათვის, საბოლოო პროდუქტის ინსპექტირებისა და მწარმოებლის მიერ პროდუქტის ტესტირებისათვის.</p>	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</p>	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
48	შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებისადმი შესაბამისობის მიზნით მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემის იმპლემენტაცია და აუცილებელი მოთხოვნების გამოყენება.	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი	პროექტი
49	<p>ხარისხის სისტემის სტანდარტების გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხარისხის სისტემის გამოყენება დირექტივების შესაბამისობის შეფასების პროცედურების მიზნებისათვის, როგორც ეს მოცემულია მოდულებში D, E და H და მათ ვარიანტებში; - შესაბამისი სტანდარტებისადმი შესაბამისობა იძლევა შესაბამისობის პრეზუმფციას ხარისხის გარანტიის მოდულების მიხედვით, რაც ასევე იფარება შესაბამისი სტანდარტით იმ შემთხვევაში, როდესაც ხარისხის სისტემა ითვალისწინებს იმ პროდუქტის ძირითად მოთხოვნებს, რომლებთან მიმართებაშიც მოხდა მათი იმპლემენტაცია; - D, E, H მოდულებთან და მათ ვარიანტებთან შესაბამისობა არ მოითხოვს სერტიფიცირებული ხარისხის სისტემას შესაბამისი სტანდარტების ფარგლებში, თუმცა იძლევა მათი დაკმაყოფილების სასურველ საშუალებას. მწარმოებელი თავისუფალია, გამოიყენოს სხვა ხარისხის სისტემის მოდულები ამ მოდულებთან შესაბამისობის მიზნით. 	<p>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება</p>	პროექტი

50	ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა იყოს შენახული [10] წლით მაინც პროდუქტის წარმოების ბოლო დღიდან, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც ტექნიკური რეგლამენტი ან კანონი ცალსახად აწესებს სხვა ვადას. საქართველოში დაფუძნებული მწარმოებელი ან მისი ავტორიზებული წარმომადგენელი ვალდებულია, დაიცვას ეს მოთხოვნები. რიგ შემთხვევაში, იმპორტიორი ან პროდუქტის ბაზარზე განმთავსებელი ითავსებს ამ პასუხისმგებლობას.	<i>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</i>	პროექტი
----	---	---	---------

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
51	შესაბამისობის დეკლარაცია: - მწარმოებელი ან მისი ავტორიზებული წარმომადგენელი ვალდებულია შეიმუშავონ შესაბამისობის დეკლარაცია, როგორც ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი აუცილებელი შესაბამისობის შეფასების პროცედურა; - შესაბამისობის დეკლარაციამ უნდა მოიცვას ყველა აუცილებელი ინფორმაცია იმ ტექნიკური რეგლამენტის იდენტიფიცირებისათვის, რომლის შესაბამისადაც მოხდა დეკლარაციის გაცემა, მათ შორის, მწარმოებელი, ავტორიზებული წარმომადგენელი, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო, პროდუქტი და სხვა შესაბამისი მითითება უნდა გაკეთდეს ჰარმონიზებული სტანდარტების ან სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.	<i>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</i>	პროექტი
52	როგორც მინიმუმ, უნდა მოხდეს შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: - დეკლარაციის შემსვები მწარმოებლის ან ავტორიზებული წარმომადგენლის სახელწოდება და მისამართი; - პროდუქტის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელწოდება, ტიპი ან მოდელის ნომერი ან სხვა დამატებითი ინფორმაცია, როგორცაა სერიული ან პარტის ნომერი ან მათი რაოდენობა); - ყველა შესაბამისი დებულება უნდა შესრულდეს; მითითებული სტანდარტები ან სხვა ნორმატიული დოკუმენტები (როგორცაა ეროვნული ტექნიკური რეგლამენტები და სპეციფიკაციები) უნდა იყოს ზუსტი, სრული და ნათლად ჩამოყალიბებული; - ყველა საჭირო დამატებითი ინფორმაცია (მაგალითად, ხარისხი, კატეგორია), თუ აუცილებელია; - დეკლარაციის გაცემის თარიღი, ავტორიზებული პირის ხელმოწერა და თანამდებობა; და - განცხადება, რომ დეკლარაცია შეესაბამება მწარმოებლის ან ავტორიზებული წარმომებლის უშუალო პასუხისმგებლობით.	<i>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</i>	პროექტი
53	იქ, სადაც პროდუქტის მიმართ მოქმედებს რამდენიმე ტექნიკური რეგლამენტი, მწარმოებელს ან ავტორიზებულ წარმომადგენელს შეუძლია ყველა დეკლარაციის გაერთიანება ერთ დოკუმენტში	<i>[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი</i>	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
---	---	-------------------------------	---------------------------

მარკირების პრინციპები			
CE მარკირების დაცვა			
54	<p>- CE მარკირება აღნიშნავს პროდუქტის შესაბამისობას ევროკავშირის მოთხოვნებთან, რომელიც ეკისრება მწარმოებელს.</p> <p>- პროდუქტებზე გაკეთებული CE მარკირება არის პასუხისმგებელი პირის განცხადება, რომ:</p> <p>* პროდუქტი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის დებულებებს, და</p> <p>* შესაბამისობის შეფასების პროცედურები დასრულებულია.</p> <p>CE მარკირება უნდა გაკეთდეს ნათლად, უნდა იყოს კითხვადი და არ უნდა იშლებოდეს მარტივად პროდუქტზე ან მისი მონაცემების ნაწილზე. თუ პროდუქტი არ იძლევა ამის საშუალებას, მარკირება უნდა გაკეთდეს პროდუქტის შეფუთვასა და თანმხლებ დოკუმენტებზე, სადაც დირექტივით არის მოთხოვნილი.</p> <p>როდესაც ნოტიფიკირებული ორგანო ჩართულია წარმოების ეტაპზე შესაბამისი დირექტივის მოთხოვნებით, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი ასევე უნდა შეესაბამებოდეს CE მარკინგს. ევროკავშირში დაფუძნებული მწარმოებელი ან ავტორიზებული წარმომადგენელი აწერს საიდენტიფიკაციო ნომერს, შეტყობინების სააგენტოს პასუხისმგებლობით.</p> <p>მწარმოებელი, მიუხედავად იმისა, დაფუძნებულია თუ არა ევროკავშირის ფარგლებში თუ მის გარეთ, პასუხისმგებელია პროდუქტის შესაბამისობასთან დირექტივების დებულებებთან მიმართებაში და შესაბამისად CE მარკირების გაკეთებისათვის.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი	პროექტი
55	<p>CE მარკირება:</p> <p>პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ყველა შესაბამის დირექტივას CE მარკირებისათვის, უნდა ატარებდეს ასეთ მარკირებას. ამგვარად, CE მარკირება წარმოადგენს იმის მითითებას, რომ პროდუქტები შეესაბამება მათზე მოქმედი დირექტივების ძირითად მოთხოვნებს და რომ შესაბამისობის შეფასების პროცედურები ჩატარებულია.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
სხვა აღნიშვნები			
56	<p>პროდუქტები, რომლებიც კანონიერად წარმოებულია, დაპროექტებულია ან ნიშანდებულია განვითარებული უსაფრთხოების და ხარისხის ინფრასტრუქტურის ქვეყნების ტერიტორიაზე და ატარებენ აღნიშვნას, წარმოადგენენ იმ პროდუქტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მწარმოებელი ქვეყნის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.</p> <p>მარკირება პროდუქტებზე წარმოადგენს პასუხისმგებელი პირის დეკლარაციას იმის თაობაზე, რომ:</p> <p>* პროდუქტი შეესაბამება წარმოების ქვეყნის ყველა მოქმედ მოთხოვნას, და</p> <p>* შესაბამისი შესაბამისობის შეფასების პროცედურები ჩატარებულია.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი], შესაბამისობის შეფასების ნაწილი	პროექტი

№	დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში	საქართველოს შესაბამისი კანონი	კანონის მიმდინარე სტატუსი
ურთიერთალიარების შეთანხმებები და ცალმხრივი აღიარება			
57	<p>ურთიერთალიარების შეთანხმებები და ცალმხრივი აღიარება შეიძლება განხორციელდეს, თუ არსებობს ურთიერთალიარების შეთანხმებები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, რომლებიც იმყოფება მსგავსი ტექნიკური განვითარების დონეზე და აქვთ მსგავსი მიდგომა შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით.</p> <p>შეთანხმებები ურთიერთალიარების შესახებ ეფუძნება სერტიფიკატების, შესაბამისობის აღნიშვნების და სატესტო ანგარიშების აღიარებას, რომლებიც გაცემულია რომელიმე მხარის შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ მეორე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>საქართველოს მთავრობას შეუძლია ცალმხრივად აღიაროს იმ ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები, რომლებსაც გააჩნია განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა, და თანაბრად გაავრცელოს ეს ტექნიკური რეგლამენტები საქართველოს ტერიტორიაზე.</p>	[პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი]	პროექტი

კარი VI. წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა

შესავალი

სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივის (LDPD) საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანის/ინკორპორირების საკითხის გადაწყვეტა; განხორციელდა კანონმდებლობის ანალიზი.

ანალიზის თანახმად დადგინდა, რომ LDPD-ის მოთხოვნები თითქმის სრულადაა ასახული/ინკორპორირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საქართველოს კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონში „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ როგორ არის ასახული LDPD-ის დებულებები საქართველოს კანონმდებლობაში, და მითითებულია LDPD-ის ის დებულებები, რომლებიც სამომავლოდ უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	სტატუსი
<p>მუხლი 1 მწარმოებელი პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მისი წუნდებული პროდუქტით</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1009. უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა 1. უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან.</p>	<p>შესაბამისობა შია</p>
	<p>საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“</p>	<p>მუხლი 3. 5. დამამზადებელი ვალდებულია, უზრუნველყოს პროდუქციის უსაფრთხოება მისი ვარგისიანობის დადგენილი ვადის განმავლობაში. ამ მოთხოვნის დარღვევის შემდეგ მომხმარებლისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად. მუხლი 9. გამყიდველის (დამამზადებლის, შემსრულებლის) პასუხისმგებლობა მომხმარებლის უფლებების შელახვისათვის გამყიდველი (დამამზადებელი, შემსრულებელი) პასუხს აგებს ამ კანონით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან მომხმარებელსა და გამყიდველს (შემსრულებელს) შორის დადებული ხელშეკრულებით. მომხმარებელთა (მომხმარებელთა საზოგადოებრივი გაერთიანებების) ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისას სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება გამყიდველისათვის (დამამზადებლისათვის, შემსრულებლისათვის) ჯარიმის დაკისრების შესახებ, საჯარიმო თანხა განისაზღვრება მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების ნებაყოფლობითი წესის დაუცველობისათვის სარჩელის ფასის ოდენობით. მუხლი 10. ქონებრივი პასუხისმგებლობა 1. მომხმარებლისათვის საქონლის კონსტრუქციული, საწარმოო და რეცეპტული ნაკლოვანებით მიყენებული ზარალი ექვემდებარება სრული მოცულობით ანაზღაურებას, თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული არ არის</p>	

		<p>პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ზომა.</p> <p>2. მომხმარებლის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას საქონლის ვარგისიანობის დადგენილ ვადებში, ხოლო თუ ასეთი ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ დამზადებიდან 10 წლის განმავლობაში.</p> <p>3. პროდუქციის ნაკლოვანების შედეგად მიყენებული ზარალი, რომელიც გამოვლინდა ვარგისიანობის ვადაში, ხოლო თუ ეს უკანასკნელი დადგენილი არ არის, ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფრო ხანგრძლივ ვადებში, ექვემდებარება ანაზღაურებას გამყიდველის ან დამამზადებლის მხრიდან.</p> <p>4. დამამზადებელი (შემსრულებელი, გამყიდველი) თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამტკიცდება, რომ ზარალი გამოწვეულია დაუმღველი ძალის ზემოქმედების ან მომხმარებლის მიერ საქონლის შენახვის ან სარგებლობის წესების დარღვევის შედეგად.</p>	
<p>მუხლი 2</p> <p>ამ დირექტივის მიზნებისათვის, "პროდუქტი" მოიცავს ყველა მოძრავ ნივთს, გარდა პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნადირობის შედეგად მოპოვებული პირველადი პროდუქციისა, თუნდაც ეს პროდუქტები შედიოდეს სხვა მოძრავ ან უძრავ პროდუქტში.</p> <p>"პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები" – გულისხმობს მიწათმოქმედების შედეგად მოყვანილ პროდუქტებს, მეცხოველეობას და მეთევზეობას.</p> <p>"პირველად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში" არ იგულისხმება ის პროდუქტი, რომელმაც გაიარა პირველადი გადამუშავების პროცესი. "პროდუქტი" ასევე მოიცავს ელექტროენერჯიას.</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p> <p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 1011. პროდუქტის ცნება</p> <p>1. ამ კოდექსის მიხედვით პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი, – მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს, ასევე – ელექტროენერჯი. მათ არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ.</p> <p>მუხლი 3.</p> <p>ნ) პროდუქცია – საქართველოს ბრუნვაში არსებული საქონელი ან მომსახურება, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის.</p>	<p>შესაბამისობა შია</p>

წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	სტატუსი
<p>მუხლი 3</p> <p>1. „მწარმოებელი“ ნიშნავს დასრულებული პროდუქტის, ნედლი მასალის ან შემადგენელი ნაწილის მწარმოებელს, ასევე სხვა ნებისმიერი პირი, რომლის სახელი, სავაჭრო ნიშანი ან სხვა განმასხვავებელი ნიშანი განთავსებულია პროდუქტზე, და თავს წარმოადგენს როგორც ამ პროდუქციის მწარმოებელი.</p> <p>2. მხედველობაშია მისაღები ასევე ის, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც ბიზნესის წარმოებისათვის ახორციელებს პროდუქტის იმპორტს ევროკავშირში გასაყიდად, იჯარისათვის,</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1011.</p> <p>2. მწარმოებლად ამ კოდექსის მიხედვით მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად ითვლება ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის როგორც მწარმოებელი.</p> <p>3. მწარმოებლად ითვლება აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების, ლიზინგის ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში ამ კოდექსით</p>	<p>შესაბამისობა შია</p>

<p>ლიზინგისათვის ან სხვა ფორმის დისტრიბუციისთვის ამ დირექტივის მიზნებისათვის ითვლება მწარმოებლად და პასუხისმგებელი როგორც მწარმოებელი.</p> <p>3. როდესაც პროდუქტის მწარმოებლის იდენტიფიცირება შეუძლებელია, პროდუქტის მომწოდებელი ითვლება ამ პროდუქტის მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გონივრულ დროში ატყობინებს დაზარალებულ პირს მწარმოებლის ან იმ პირის შესახებ, რომელმაც მას მიაწოდა პროდუქტი. იგივე წესი ვრცელდება იმპორტირებულ პროდუქტზე, თუ პროდუქტზე მოცემული ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული იმპორტიორის იდენტიფიკაციისათვის, თუნდაც პროდუქტზე მითითებული იყოს მწარმოებლის სახელი.</p>	<p>გათვალისწინებული პირობების დაცვით.</p> <p>4. თუ შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში დაზარალებულს წარუდგენს მწარმოებლის პიროვნებას ან იმ პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიაწოდა. ეს წესი გამოიყენება საიმპორტო საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი ცნობილია.</p>	
	<p>საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, დეფინიციები</p>	<p>პრემბულა: "დამამზადებელი" – რეალიზაციის ან გაცვლის მიზნით პროდუქციის მწარმოებელი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება ან მოქალაქე-მეწარმე.</p>
	<p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 3. ჟ) მწარმოებელი: ჟ.ა) პროდუქციის დამამზადებელი ან სხვა პირი, რომელიც თავის თავს წარმოადგენს დამამზადებლად პროდუქციისათვის თავისი სახელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის მინიჭებით, ან პროდუქციის გადამკეთებელი; ჟ.ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი ან ბაზარზე პროდუქციის განმთავსებელი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი; (29.12.2006 N4291) ჟ.გ) სხვა პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქციით უზრუნველყოფის ქსელში და რომლის საქმიანობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე გატანილი პროდუქციის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.</p>

წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	სტატუსი
<p>მუხლი 4 ზიანის დადგენის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. დაზარალებული ასევე ვალდებულია, დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირი დეფექტურ პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის.</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1012. მტკიცების ტვირთი უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს.</p>	<p>შესაბამისობაშია</p>
<p>მუხლი 5 როდესაც დირექტივის მიხედვით ორი ან მეტი პირი არის პასუხისმგებელი ერთი და იმავე ზიანის მიყენებისათვის, ისინი პასუხს აგებენ ერთობლივად და ცალ-ცალკე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის წილობრივად დანაწილებით.</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1013. უხარისხო პროდუქციის მწარმოებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობა თუ ერთი და იმავე ზიანისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე მწარმოებელს, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.</p>	<p>შესაბამისობაშია</p>
<p>მუხლი 6 1. პროდუქტი ითვლება წუნდებულად, თუ იგი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი, შემდეგ მოყვანილი ყველა გარემოების გათვალისწინებით: ა) წარმოადგენს პროდუქტზე; ბ) პროდუქტის გამოყენება დანიშნულებისამებრ, რაც ჩვეულებრივ მოეთხოვება ამ პროდუქტს; გ) დრო, როდესაც პროდუქტი შევიდა მიმოქცევაში. 2. პროდუქტი არ ითვლება წუნდებულად იმის გამო, რომ შემდგომში უკეთესი პროდუქტი შემოვიდა მიმოქცევაში.</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1010. უხარისხო პროდუქტის ცნება 1. პროდუქტი ითვლება უხარისხოდ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. 2. პროდუქტი არ მიიჩნევა უხარისხოდ მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.</p>	<p>შესაბამისობაშია</p>

წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	სტატუსი
---	---------------------------	----------------	---------

<p>მუხლი 7 ამ დირექტივის შესაბამისად, მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი, თუ ის დაამტკიცებს, რომ: ა) მან არ განათავსა პროდუქტი მიმოქცევაში; ან ბ) გარემოების გათვალისწინებით შესაძლოა წუნი/დეფექტი, რომელმაც გამოიწვია ზიანი, არ არსებობდა იმ პერიოდისთვის, როდესაც პროდუქტი გავიდა მიმოქცევაში მის მიერ, ან ეს დეფექტი წარმოიშვა შემდგომში; ან გ) მის მიერ წარმოებული პროდუქტი არ იყო გამიზნული რეალიზაციისათვის ან ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისათვის ეკონომიკური მიზნით ან არ იყო წარმოებული ან გავრცელებული მის მიერ მისი ბიზნესსაკმიანობის პერიოდში; ან დ) წუნი/დეფექტი გამოწვეულია სახელმწიფო ორგანოს მიერ დაწესებული სავალდებულო რეგლამენტის შესაბამისობის გამო; ან ე) მეცნიერული ან ტექნიკური ცოდნა პროდუქტის მიმოქცევაში განთავსების მომენტისათვის არ იყო იმგვარი, რაც საშუალებას მისცემდა წუნის/დეფექტის აღმოჩენისათვის; ან ვ) კომპონენტის მწარმოებლის შემთხვევაში, წუნი/დეფექტი გამოწვეულია პროდუქტის დიზაინით, რომელშიც ეს კომპონენტი მოთავსებული ან მითითების საფუძველზე, რომელიც გაცემულია იმ პროდუქტის მწარმოებლის მიერ, რომელიც თავის პროდუქტში იყენებს ამ კომპონენტს.</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1009. უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა 1. უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელმწიფო ურთიერთობაში დაზარალებულთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა: ა. მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ; ბ. საქმის გარემოებათაგან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას; გ. მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში; დ. პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს, ანდა ე. შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს. 2. პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ასევე გამორიცხულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. 3. მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ. 4. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით.</p>	<p>შესაბამისობა აშია</p>
---	---------------------------------------	--	--------------------------

წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	სტატუსი
<p>მუხლი 8 1. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, როდესაც ზარალი გამოწვეულია ერთდროულად წუნდებული პროდუქტით და მესამე მხარის ქმედებით ან უმოქმედობით. 2. მწარმოებლის პასუხისმგებლობა შეიძლება შემცირდეს ან გამოირიცხოს, თუ გარკვეული გარემოებისას ზარალი გამოწვეულია როგორც პროდუქტის წუნი/დეფექტით, ასევე დაზარალებული პირის ბრალეული ქმედებით ან სხვა პირის მიერ, რომელზეც პასუხისმგებელია დაზარალებული პირი.</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1009. უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა 3. მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ. 4. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით.</p>	<p>შესაბამისობა აშია</p>
<p>მუხლი 9 პირველი მუხლის მიზნებისათვის "ზიანი" გულისხმობს: ა) ზარალი, რომელმაც გამოიწვია პირის გარდაცვალება ან ფიზიკური დაზიანება; ბ) ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზიანება ან განადგურება, გარდა თავად დეფექტური პროდუქტისა 500 ECU-ს ღირებულების ქვემოთ, იმ პირობით, რომ ქონების ნაწილი: ბ.ა) არის თავდაპირველადვე პირადი გამოყენებისა თუ მოხმარებისათვის განკუთვნილი, და ბ.ბ) გამოყენებულ იქნა დაზარალებული პირის მიერ</p>	<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი</p>	<p>მუხლი 1014. ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 1009-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილით ან სხეულის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით.</p>	<p>ნაწილობრივ იმპლემენტი-რებულია</p>

მხოლოდ პირადი გამოყენებისა თუ მოხმარებისათვის. ეს მუხლი არაარსებით ზიანთან მიმართებაში არ მოახდენს გავლენას ეროვნული კანონმდებლობის დებულებებზე.			
--	--	--	--

წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	სტატუსი
მუხლი 10 1. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები საკუთარ კანონმდებლობაში ასახავენ დებულებებს, რომ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის ვადა განისაზღვრება 3 წლით, როგორც ეს მოცემულია ამ დირექტივაში. ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელემ გაიგო ან უნდა გაეგო ზარალის, წუნის/დეფექტის და მწარმოებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ. 2. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით მოქმედი ხანდაზმულობის ვადების შეჩერების ან შეწყვეტის ნორმებზე ეს დირექტივა არ იქონიებს გავლენას.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	მუხლი 1015. მოთხოვნის ხანდაზმულობა 1. 1009-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.	შესაბამისობა აშია
მუხლი 11 ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა კანონმდებლობით უნდა უზრუნველყონ, რომ ამ დირექტივის შესაბამისად მინიჭებული უფლებები დაზარალებულ პირზე გაუქმდეს 10-წლიანი პერიოდის შემდეგ, ამ პერიოდის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მწარმოებელმა მიმოქცევაში გაუშვა ის პროდუქტი, რომელმაც გამოიწვია ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაზარალებულ პირს ამ პერიოდის განმავლობაში მწარმოებლის წინააღმდეგ შეტანილი აქვს სარჩელი სასამართლოში.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	მუხლი 1015. მოთხოვნის ხანდაზმულობა 2. 1009-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნა ქარწყლდება ათი წლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა.	შესაბამისობა აშია
მუხლი 12 ამ დირექტივის ფარგლებში მწარმოებლის პასუხისმგებლობა დაზარალებული პირის მიმართ არ უნდა იზღუდებოდეს ან გამოირიცხებოდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების დებულებებით.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	მუხლი 1016. პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვის დაუშვებლობა მწარმოებლის პასუხისმგებლობა უზარისხო პროდუქტისათვის არ შეიძლება წინასწარ არც გამოირიცხოს და არც შეიზღუდოს. საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.	შესაბამისობა აშია

კარი VII. პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა

შესავალი

სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივის საქართველოს კანონმდებლობაში ინკორპორირების მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა. განხორციელდა კანონმდებლობის ანალიზი. სამართლებრივმა ანალიზმა დაადასტურა, რომ GPSD-ის დებულებები თითქმის სრულად არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში (საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი).

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, თუ როგორ აისახება შესაბამისი GPSD-ის დებულებები საქართველოს კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ასევე მოცემულია GPSD-ის დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
1	დეფინიციები: „პროდუქტი“ ნიშნავს ნებისმიერ პროდუქტს, მათ შორის, მომსახურებას, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლისთვის ან წინასწარ განზრახული გონივრული დანიშნულებისამებრ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომხმარებლის მიერ, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა მათთვის, და რომელიც კომერციული საქმიანობის შედეგად ნებისმიერ უნებლიეთ ხელმისაწვდომია ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ახალია, გამოყენებულია თუ გადამუშავებული.	საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“	მუხლი 3, ქვეპუნქტი „ნ“ – პროდუქცია – საქართველოს ბრუნვაში არსებული საქონელი ან მომსახურება, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის.	შესაბამისობაშია
2	„უსაფრთხო პროდუქტი“ არის პროდუქტი, რომელიც შესაბამის, წინასწარგანსაზღვრულ ვადებში და გონივრული დანიშნულებით გამოყენებისას და, ასევე, რომლის ექსპლუატაციაში გავრცობის, მონტაჟისა და შენახვისას გამოსაყენებელი მოთხოვნები არ შეიცავს რაიმე რისკს ან შეიცავს ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს. პროდუქციის უსაფრთხოებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა) პროდუქციის მახასიათებლები, მათ შორის, მისი შემადგენლობის, შეფუთვის, აწყობისა და შენახვის შესახებ ინსტრუქციები; ბ) გავლენა სხვა პროდუქტებზე, როდესაც გონივრული გამოყენების ფარგლებში სავარაუდოა მისი გამოყენება მათთან ერთად; გ) პროდუქციის წარდგენა, ეტიკეტირება, გაფრთხილება, მითითება ან ინსტრუქცია მათი გამოყენებისა და განადგურების შესახებ ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც უზრუნველყოფს მწარმოებელი; დ) მომხმარებელთა ის კატეგორია, რომელსაც ემუქრება საფრთხე პროდუქციის გამოყენების დროს, განსაკუთრებით – ბავშვები და მოხუცები.	საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“	მუხლი 3, ქვეპუნქტი „ო“ – უსაფრთხო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც ნორმალურად და გონივრულად გამოყენებისას არ შეიცავს რისკს ან შეიცავს მხოლოდ ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ, მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქციის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქციის სახიფათოდ მიჩნევის საფუძველი. მუხლი 6. პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები და ბაზარზე გატანა პროდუქციის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა) პროდუქციის მახასიათებლები, მათ შორის, მისი შემადგენლობის, შეფუთვის, აწყობისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციები; ბ) გავლენა სხვა პროდუქტებზე, როდესაც სავარაუდოა მისი გამოყენება მათთან ერთად; გ) პროდუქციის წარდგენა, ეტიკეტირება, ინსტრუქცია პროდუქციის გამოყენებისა და გაყიდვის შესახებ, ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან მითითება, რომელსაც უზრუნველყოფს მწარმოებელი; დ) მომხმარებელთა ის კატეგორია, რომელსაც ემუქრება საფრთხე პროდუქციის გამოყენების დროს, განსაკუთრებით – ბავშვები.	შესაბამისობაშია

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
3	„საშიში პროდუქტი“ ნიშნავს ნებისმიერ პროდუქტს, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლში მოცემულ „უსაფრთხო პროდუქტის“ განმარტებას.	საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“	მუხლი 3, ქვეპუნქტი „პ“ – სახიფათო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლში მოცემულ „უსაფრთხო პროდუქტის“ განმარტებას.	შესაბამისობაშია
4	„სერიოზული რისკი“ ნიშნავს ნებისმიერ სერიოზულ რისკს, მათ შორის, ისეთ რისკს, რომლის გავლენაც დაუყოვნებლივ არ ვლინდება და რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სწრაფ ჩარევას.	N/A		არ არის ასახული ქართულ კანონმდებლობაში

5	<p>„მწარმოებელი“ ნიშნავს: ა) პროდუქტის დამამზადებელს, როდესაც იგი დაფუძნებულია ევროკავშირში, და ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც თავის თავს წარმოადგენს დამამზადებლად პროდუქციისათვის თავისი სახელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის მინიჭებით, ან პროდუქტის დამამზადებელი; ბ) მწარმოებლის წარმომადგენელი, როდესაც იგი არ არის დაფუძნებული ევროკავშირში, ან თუ არ არის ევროკავშირში დაფუძნებული წარმომადგენელი პროდუქტის იმპორტიორი; გ) მიწოდების ჯაჭვში მოქმედი სხვა პროფესიონალები, იმდენად, რამდენადაც მათი საქმიანობა გავლენას ახდენს პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქტის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 3, ქვეპუნქტი „ჟ“ – მწარმოებელი: ქ.ა) პროდუქტის დამამზადებელი ან სხვა პირი, რომელიც თავის თავს წარმოადგენს დამამზადებლად პროდუქციისათვის თავისი სახელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის მინიჭებით, ან პროდუქტის გადამკვეთებელი; ქ.ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი ან ბაზარზე პროდუქტის განმთავსებელი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი; ქ.გ) სხვა პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფის ქსელში და რომლის საქმიანობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე გატანილი პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.</p>	<p>შესაბამისობა ია</p>
6	<p>„დისტრიბუტორი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქტის მიწოდების ჯაჭვში და რომლის საქმიანობა გავლენას არ ახდენს პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქტის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 3, ქვეპუნქტი „რ“ – დისტრიბუტორი – პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფის ქსელში და რომლის საქმიანობა გავლენას არ ახდენს პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.</p>	<p>შესაბამისობა ია</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
7	<p>„გამოთხოვა“ ნიშნავს ნებისმიერ ზომას, რომელიც მიმართულია იმ საშიში პროდუქტის უკან დაბრუნებაზე, რომელიც უკვე მიწოდებულია ან ხელმისაწვდომია მომხმარებელთათვის მწარმოებლის ან დისტრიბუტორის მიერ; „ამოღება“ ნიშნავს ნებისმიერ ზომას, რომელიც მიმართულია მომხმარებელთათვის საშიში პროდუქტის დისტრიბუციის, შეთავაზების ან მიწოდების შეწყვეტისაკენ.</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქტის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 25, პუნქტი 1 – კომპეტენტურ ორგანოებს უფლება აქვთ ნებისმიერი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც ჯერ არ გატანილა ბაზარზე, აკრძალონ მისი ხელმისაწვდომობა და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები აკრძალვის გასაკონტროლებლად; ბაზარზე გატანილი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში უზრუნველყონ მომხმარებლებისაგან მისი ამოღება და განადგურება მწარმოებელთან ან/და დისტრიბუტორთან კოორდინაციით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დამოუკიდებლად; ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება სახიფათო იყოს, შესამოწმებლად საჭირო პერიოდის განმავლობაში დროებით შეზღუდოს ხელმისაწვდომობა.</p>	<p>შესაბამისობა ია</p>
8	<p>თავი II მუხლი 3: 1. მწარმოებლები ვალდებული არიან ბაზარზე განათავსონ მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტები.</p>	<p>საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი „პროდუქტის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 3, პუნქტი 5 – დამამზადებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქტის უსაფრთხოება მისი ვარგისიანობის დადგენილი ვადის განმავლობაში. მუხლი 7, პუნქტი 1 – მწარმოებელი ვალდებულია, ბაზარზე გაიტანოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტები.</p>	<p>შესაბამისობა ია</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
9	<p>იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს ევროთანამეგობრობის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები, პროდუქცია ნაითვლება უსაფრთხოდ, თუ ის აკმაყოფილებს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს და იმ წვერი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სადაც პროდუქცია იქნა განთავსებული ბაზარზე. ასეთი მოთხოვნები უნდა იყოს დაწერილი შეთანხმების პირობების, კერძოდ კი, მისი 28-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად და უნდა მოიცავდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების იმ პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი იმისათვის, რომ ბაზარზე განთავსდეს. პროდუქტი ითვლება უსაფრთხოდ, თუ იგი ითვალისწინებს შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახულ რისკებს, რისკის კატეგორიებს და შეესაბამება ნებაყოფლობით ეროვნულ სტანდარტებს, რომლებიც ასახავენ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ევროპულ სტანდარტებს, რომელთა შესახებ მითითება გამოქვეყნებულია ევროკომისიის მიერ ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მე-4 მუხლის შესაბამისად. წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოაქვეყნოს ასეთი ეროვნული სტანდარტები.</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 8 – თუ პროდუქციის უსაფრთხოება რეგულირდება ტექნიკური ნორმებით, მწარმოებელი ვალდებულია, ბაზარზე გაიტანოს ისეთი პროდუქცია, რომელიც შეესაბამება მისი მარეგულირებელი, საქართველოში მოქმედი ან აღიარებული ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ან საქართველოში მოქმედ სხვა წესებსა და ნორმებს, რომლებიც ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს პროდუქციის მიმართ.</p>	<p>ადეკვატური დებულებები</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
10	<p>3. მე-2 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროდუქტის შესაბამისობა უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებთან უნდა შეფასდეს შემდეგი ელემენტების გათვალისწინებით, კერძოდ, თუ არსებობს:</p> <p>ა) შესაბამისი ეროვნული სტანდარტები, რომლებიც ასახავენ ევროპულ სტანდარტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მოცემულია მე-2 პუნქტში;</p> <p>ბ) სტანდარტები, რომლებიც შემუშავებულია იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა პროდუქციის განთავსება;</p> <p>გ) ევროკომისიის რეკომენდაციები, რომლებიც ადგენენ პროდუქციის შეფასების სახელმძღვანელო წესებს;</p> <p>დ) პროდუქტის უსაფრთხოების შესაბამის სფეროში მოქმედი დადებითი პრაქტიკის კოდექსები;</p> <p>ე) პროგრესისა და ტექნოლოგიების განვითარების დონე;</p> <p>ვ) მომხმარებელთა მოლოდინი უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.</p> <p>15.1.2002 EN ევროგაერთიანების ოფიციალური ჟურნალი L 11/9</p>	<p>საქართველოს კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 2, ქვეპუნქტი ა – სტანდარტი – უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის განკუთვნილი დოკუმენტი, რომელიც პროდუქციისთვის და მასთან დაკავშირებული წარმოების მეთოდებისთვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს. სტანდარტების გამოყენება სავალდებულო არ არის. სტანდარტი ასევე შეიძლება მოიცავდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების, ეტიკეტირებისადმი, პროცესის ან წარმოების მეთოდებისადმი არსებულ მოთხოვნებს;</p> <p>ბ) საერთაშორისო სტანდარტი – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის;</p> <p>გ) უცხო ქვეყნის სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებული ან აღიარებულია სხვა ქვეყნის მიერ;</p> <p>დ) საქართველოს სტანდარტი – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტი.</p>	<p>ადეკვატური დებულებები</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
1 1	<p>ზოგადი უსაფრთხოების კრიტერიუმებისადმი პროდუქტის შესაბამისობა, კერძოდ კი, იმ კრიტერიუმებისადმი, რომელიც მოხსენიებულია დირექტივის მე-2 და მე-3 პარაგრაფებში, არ უნდა ქმნიდეს წინააღმდეგობას სახელმწიფოსათვის პროდუქციის ბაზარზე განთავსების შეზღუდვასთან დაკავშირებით. მათ შორის, შესაძლებელი უნდა იყოს პროდუქციის ამოღება ბაზრიდან და გამოთხოვა, თუკი არსებობს სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რომ, მიუხედავად ასეთი შესაბამისობისა, პროდუქცია საფრთხის მატარებელია.</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>თავი VII. ბაზრის ზედამხედველობა და კონტროლი</p> <p>მუხლი 24. კომპეტენტური ორგანოები კომპეტენტური ორგანოები მოქმედებენ ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.</p> <p>მუხლი 25. კომპეტენტური ორგანოების უფლებები</p> <p>1. ამ კანონისა და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით კომპეტენტურ ორგანოებს აქვთ შემდეგი ძირითადი უფლებები:</p> <p>ა) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში:</p> <p>ა.ა) განხორციელონ უსაფრთხო პროდუქციის სახით ბაზარზე გატანილი პროდუქციის შემოწმება და ამ მიზნით აიღონ მისი ნიმუშები;</p> <p>ა.ბ) მწარმოებელს ან დისტრიბუტორს მოსთხოვონ აუცილებელი ინფორმაცია;</p> <p>ბ) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომლის განსაზღვრულ პირობებში გამოყენება უკავშირდება რისკს:</p> <p>ბ.ა) მოითხოვონ რისკის თაობაზე შესაბამისი, ნათლად ჩამოყალიბებული გაფრთხილების პროდუქციაზე დატანა ქართულ ენაზე;</p> <p>ბ.ბ) მოითხოვონ პროდუქციის რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;</p> <p>გ) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს საფრთხეს პირთა განსაზღვრული წრისათვის, მოითხოვონ ამ პირთა გაფრთხილება გონივრულ ვადაში და სათანადო ფორმით, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, რისკის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გაფრთხილება;</p> <p>დ) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება სახიფათო იყოს, შესამოწმებლად საჭირო პერიოდის განმავლობაში დროებით შეზღუდოს ხელმისაწვდომობა;</p> <p>ე) ნებისმიერი სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც ჯერ არ გატანილა ბაზარზე, აკრძალოს მისი ხელმისაწვდომობა და განხორციელოს დამატებითი ღონისძიებები აკრძალვის გასაკონტროლებლად;</p> <p>ვ) ბაზარზე გატანილი სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში:</p> <p>ვ.ა) გამოსცეს ბაზრიდან მისი ამოღების აქტი და ორგანიზება გაუწიოს მის დაუყოვნებლივ შესრულებას; გაავრცელოს ინფორმაცია რისკის თაობაზე;</p> <p>ვ.ბ) უზრუნველყოს მომხმარებლებისაგან მისი ამოღება და განადგურება მწარმოებელთან ან/და დისტრიბუტორთან კოორდინაციით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დამოუკიდებლად.</p> <p>2. თუ კომპეტენტური ორგანო არ ფლობს შესაბამის საშუალებებს პროფესიული ექსპერტიზის განხორციელებლად, მას შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართოს შესაბამის ორგანოს.</p> <p>მუხლი 26. კომპეტენტური ორგანოების მოვალეობები</p> <p>კომპეტენტურმა ორგანოებმა ამ კანონის 25-ე</p>	<p>ადკვატური დებულებები</p>

			<p>მუხლით გათვალისწინებული უფლებების საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების გატარებისას უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით და რისკის ხარისხის გათვალისწინებით.</p> <p>მუხლი 27. შემოწმების ხარჯები თუ შემოწმების შედეგად პროდუქცია სახიფათო აღმოჩნდება, შემოწმების პროცედურების ხარჯების გაწევა, შესამოწმებელი ნიმუშების ღირებულების ჩათვლით, ეკისრება მწარმოებელს ან დისტრიბუტორს, შესაბამისად მწარმოებლის ან დისტრიბუტორის ბრალის გათვალისწინებით.</p> <p>მუხლი 28. კომპეტენტური ორგანოების სხვა უფლება-მოვალეობები კონკრეტული პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ სპეციალური ნორმატიული აქტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით შესაძლებელია განისაზღვროს კომპეტენტური ორგანოების დამატებითი უფლებები და მოვალეობები.</p> <p>მუხლი 29. პასუხისმგებლობა ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.</p>	
--	--	--	---	--

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
12	<p>მწარმოებლებმა თავისი საქმიანობის ფარგლებში მომხმარებლებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, რათა მათ მოახდინონ პროდუქციასთან დაკავშირებული იმ რისკის შეფასება, რომელსაც იგი მოიცავს ნორმალურ ან წინასწარგანსრახულ პერიოდში გამოყენების დროს, როდესაც ასეთი რისკები ადეკვატური გაფრთხილების გარეშე დაუყოვნებლივ არ ვლინდება, და მიიღონ ზომები ამგვარი რისკების წინააღმდეგ. გაფრთხილებების არსებობა არ გამორიცხავს ნებისმიერი პირის პასუხისმგებლობას ამ დირექტივის სხვა მოთხოვნებისადმი.</p>	<p>საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“</p>	<p>მუხლი 6, ქვეპუნქტები „ვ“, „ზ“, „ჟ“ – ვ) ზ) პროდუქციის შედეგად და უსაფრთხო გამოყენების წესები და პირობები, აგრეთვე შენახვის სპეციალური პირობები;</p> <p>კ) საქონლის ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და მათი განუხორციელებლობისას მოსალოდნელი შედეგები.</p>	შესაბამისობაშია
		<p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 7 – მწარმოებლისა და დისტრიბუტორის ვალდებულებანი 1. მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე გაიტანოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქცია. 2. მწარმოებელი პროდუქციის ბაზარზე გატანისას ვალდებულია: ა) მიაწოდოს მომხმარებელს შესაბამისი ინფორმაცია, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს ადეკვატური გაფრთხილების გარეშე შეუმჩნეველი რისკი, რომელსაც შეიცავს პროდუქცია ექსპლუატაციის ვადის გათვალისწინებით, მისი ნორმალური და გონივრული გამოყენებისას, და მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები ამგვარ რისკთან დაკავშირებით.</p>	

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
---	---	---------------------------	----------------	------------------------

13	<p>მწარმოებლებმა თავიანთი საქმიანობის ფარგლებში უნდა შეიმუშაონ პროდუქციასთან დაკავშირებული ზომები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს:</p> <p>ა) ინფორმირებული იყვნენ პროდუქციასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე;</p> <p>ბ) მიიღონ შესაბამისი ზომები რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის: მოხმარებიდან ამოღონ პროდუქცია; მოახდინონ მომხმარებელთა აღკვეთური და ევოქურთი გაფრთხილება და პროდუქციის მომხმარებლისაგან გამოთხოვა.</p> <p>მე-3 ქვეპუნქტში მითითებული ზომები შეიძლება მოიცავდნენ:</p> <p>საქონლის ან მისი პარტის განმასხვავებელი ნიშნით გამოყოფას; მწარმოებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და სხვა დეტალების მითითებას პროდუქტზე ან, საჭიროების შემთხვევაში, პროდუქციის პარტიაზე, რომელსაც ის ეკუთვნის, და ყველა შესაბამის შემთხვევაში ნიმუშების აღებას; ტესტირებას; გამოძიებას და, თუ საჭიროა, შესაბამისი საინფორმაციო რეგისტრის წარმოებას და შენახვას, დისტრიბუტორების ინფორმირებას ამ ტიპის მონიტორინგის განხორციელების შესახებ; მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება უნდა განხორციელდეს ნებაყოფლობით საწყისებზე, ან მე-8 მუხლის (1)(f) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად – კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების მიერ. გამოთხოვა შეიძლება განხორციელდეს როგორც უკანასკნელი ზომა, როდესაც სხვა ზომები არასაკმარისია რისკის თავიდან ასაცილებლად, იმ შემთხვევაში, როდესაც მწარმოებელი აუცილებლად ჩათვლის ან იქნება ვალდებული ასეთი განხორციელებაზე კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოს მითითების საფუძველზე. ზემოხსენებული ზომები შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი სფეროს კარგი პრაქტიკის კოდექსების ფარგლებში, სადაც ასეთი კოდექსები არსებობს.</p>	<p>საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 3, პუნქტი 8 – თუ დადგენილია, რომ მომხმარებლის მიერ პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირების ან გამოყენების წესების დაცვის შემთხვევაში ისინი აყენებენ ან შეუძლიათ მიაყენონ ზიანი გარემოს, მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კუთვნილ ქონებას, დამამზადებელი (შემსრულებელი, გამყიდველი) ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს მათი წარმოება (რეალიზება) მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრამდე, საჭიროების შემთხვევაში კი მიიღოს ზომები მათი ხმარებიდან ამოღებისა და მომხმარებლისაგან გამოთხოვისათვის.</p> <p>თუ ზემოჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრა შეუძლებელია, დამამზადებელი (შემსრულებელი) ვალდებულია შეწყვიტოს აღნიშნული პროდუქციის წარმოება. დამამზადებლის მხრიდან აღნიშნული ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში პროდუქცია ხმარებიდან ამოიღება პროდუქციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განკარგულების საფუძველზე.</p> <p>პროდუქციის მომხმარებლისაგან გამოთხოვასთან დაკავშირებულ ზარალს სრული მოცულობით ანაზღაურებს დამამზადებელი (შემსრულებელი).</p> <p>მუხლი 7, პუნქტი 2 – პროდუქციის თავისებურებებიდან გამომდინარე, მიიღოს ზომები პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისთვის და დისტრიბუტორისთვის მისაწოდებლად და ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, საქონლის ან მისი პარტის განმასხვავებელი ნიშნით გამოყოფის, ნიმუშების ტესტირებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, პროდუქციის რეალიზაციიდან ამოღების ჩათვლით. ასეთი ინფორმაციის მიწოდება არ ათავისუფლებს მწარმოებელს ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.</p>	შესაბამისობაშია
№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
14	<p>დისტრიბუტორები ვალდებული არიან იმოქმედონ სათანადო გულისხმიერებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქციის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობა, კერძოდ, მათ არ უნდა მიაწოდონ ისეთი პროდუქცია, რომლის შესახებ იციან ან სავარაუდოდ უნდა სცოდნოდნათ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ან პროფესიული ცოდნის საფუძველზე, რომ პროდუქტი არ შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, დისტრიბუტორებმა თავიანთი საქმიანობის ფარგლებში მონაწილეობა უნდა მიიღონ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის უსაფრთხოების მონიტორინგში, განსაკუთრებით კი პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით/მიწოდებით. ამისათვის მათ უნდა შეინახონ და მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინონ პროდუქციის წარმომავლობის დასადაგენად აუცილებელი დოკუმენტაცია. დისტრიბუტორებმა თავიანთი საქმიანობის ფარგლებში მაქსიმალურად</p>	საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“	<p>მუხლი 7, პუნქტი 3 – დისტრიბუტორი ვალდებულია იმოქმედოს სათანადო გულისხმიერებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქციის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობა. კერძოდ, მან არ უნდა გაავრცელოს ისეთი პროდუქცია, რომელიც მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და პროფესიული ცოდნის საფუძველზე, სავარაუდოდ, არ შეესაბამება სავალდებულო მოთხოვნებს.</p> <p>დისტრიბუტორმა თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს ბაზარზე გატანილი პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით – პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებით.</p>	შესაბამისობაშია

	ევექტიანად უნდა ითანამშრომლონ და მონაწილეობა მიიღონ მწარმოებლისა და უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოს მიერ რისკის თავიდან ასაცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებებში.			
15	იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლებმა და დისტრიბუტორებმა იციან ან უნდა სცოდნოდეთ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის და პროფესიული ცოდნის საფუძველზე, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქცია შეიცავს რისკს მომხმარებელთათვის და იგი არ შეესაბამება უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს, ისინი ვალდებული არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ, უფლებამოსილ ორგანოებს №1 დანართში მოცემული ფორმით, სადაც უნდა იქნეს მოცემული დეტალები, თუ რა ზომები იქნა მიღებული მომხმარებლებისათვის რისკის აღმოსაფხვრელად. ევროკომისიამ 15(3) მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად უნდა შეიმუშაოს მოთხოვნები №1 დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით.	საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“	მუხლი 7, პუნქტი 2 – მწარმოებელი პროდუქციის ბაზარზე გატანისას ვალდებულია: ა) მიაწოდოს მომხმარებელს შესაბამისი ინფორმაცია, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს ადეკვატური გაფრთხილების გარეშე შეუქმნეველი რისკი, რომელსაც შეიცავს პროდუქცია ექსპლუატაციის ვადის გათვალისწინებით, მისი ნორმალური და გონივრული გამოყენებისას, და მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები ამგვარ რისკთან დაკავშირებით; ბ) პროდუქციის თავისებურებებიდან გამომდინარე, მიიღოს ზომები პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისთვის და დისტრიბუტორისთვის მისაწოდებლად და ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, საქონლის ან მისი პარტიის განმასხვავებელი ნიშნით გამოყოფის, ნიმუშების ტესტირებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, პროდუქციის რეალიზაციიდან ამოღების ჩათვლით. ასეთი ინფორმაციის მიწოდება არ ათავისუფლებს მწარმოებელს ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.	შესაბამისობაშია

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
16	მწარმოებლები და დისტრიბუტორები ბაზარზე განთავსებულ პროდუქციასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრის ღონისძიებებში უნდა მონაწილეობდნენ კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების თხოვნის საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობის წარმოების პროცედურები, მათ შორის, პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოების მოთხოვნები, უნდა შეიმუშაოს კომპეტენტურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა.	N/A	N/A	უნდა აისახოს კანონმდებლობაში
17	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მწარმოებლები და დისტრიბუტორები აკმაყოფილებდნენ ამ დირექტივის მოთხოვნებს იმდენად, რომ ბაზარზე განთავსებული პროდუქცია იყოს უსაფრთხო. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ან აირჩიონ კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც განსახორციელებენ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს, და უზრუნველყონ ასეთი ორგანოები შესაბამისი უფლებამოსილებით, რათა მათ ამ დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად მიიღონ სათანადო ზომები. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ უფლებამოსილი ორგანოების ამოცანები, მათი უფლებამოსილების, ორგანიზებისა და თანამშრომლობის საკითხები. მათ მუდმივად უნდა მიაწოდონ კომისიას ზემოაღნიშნული საკითხების შესაბამისი ინფორმაცია, კომისიამ კი	საქართველოს კანონი „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“	მუხლი 7. საწარმოო უსაფრთხოების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოები 1. საწარმოო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია (შემდგომში – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია), რომელიც დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, ამ კანონის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს: (24.11.2006 3766) ა) სახელმწიფო საზედამხედველო (ნორმატიული რეგულირების, პროფილაქტიკური, საკონტროლო და სანებართვო) ფუნქციები და ამ კანონის საფუძველზე გამოიყენოს სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიებები; ბ) სახელმწიფო ზედამხედველობა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული	ნაწილობრივ შეტანილია

	<p>ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სხვა წევრ სახელმწიფოებს.</p>	<p>საწარმოების (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), მათი თანამდებობის პირების, მუშაკების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ ამ კანონით დადგენილ და სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების მოთხოვნათა შესრულებაზე;</p> <p>გ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოთა მოთხოვნის შესაბამისად მათთვის უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენა. (8.06.2007 4923)</p> <p>2. საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფლებამოსილება არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე. (7.05.2002 1391) (25.12.2002 1855)</p> <p>3. საწარმოო უსაფრთხოების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა უფლებამოსილი ორგანოებია:</p> <p>ა) ამოღებულია; (7.05.2002 1391)</p> <p>ბ) საქართველოს სოციალური დაცვის, შრომის და დასაქმების სამინისტროს შრომის ინსპექცია – შრომის დაცვის სფეროში;</p> <p>გ) საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო – მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის და არქიტექტურულ-სამშენებლო სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების სფეროში;</p> <p>დ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში;</p> <p>ე) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმების დეპარტამენტი – ადამიანის ორგანიზმზე სამრეწველო ობიექტებში სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დარღვევით გამოწვეული საშიში და მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის განხორციელების სფეროში;</p> <p>ე¹) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტრუქტურული დანაყოფები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფები – ხანძრის თავიდან აცილებისა და მისგან გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის, აგრეთვე საგანგებო სიტუაციაში მოქალაქეთა მომზადების, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და კონტროლის სფეროებში; (8.06.2007 4923)</p> <p>ვ) ამოღებულია; (8.06.2007 4923)</p> <p>ზ) ამოღებულია; (8.06.2007 4923)</p> <p>თ) საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი – სახელმწიფო სტანდარტების აუცილებელი მოთხოვნების დაცვის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის, აგრეთვე სერტიფიკაციის სფეროში სახელმწიფო</p>
--	---	--

			<p>პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის სფეროში;</p> <p>ი) ამოღებულია; (22.03.2005 112</p> <p>კ) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო – „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ნავთობის გადამამუშავების, ბუნებრივი გაზის დამამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და კონტროლის სფეროში. (5.06.2007 4862)</p> <p>4. ამ მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით და დადგენილი წესით დამტკიცებული დებულებებით.</p>
--	--	--	---

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
18	<p>მუხლი 7.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ სანქციები, დირექტივის შესაბამისად მიღებული ადგილობრივი დებულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევებისთვის და მიიღონ ყველა ზომამ ამ ჯარიმების იმპლემენტაციისათვის. ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და აღმკვეთი. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ ამგვარი დებულებების შესახებ 2004 წლის 15 იანვრამდე და ასევე დროულად შეატყობინონ მათთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ.</p>	<p>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი</p>	<p>მუხლი 158¹. მომხმარებლის უფლებების შელახვა</p> <p>მომხმარებლის უფლებების განზრახ შელახვა, რასაც მოჰყვება ქონებრივი ზარალი, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.</p> <p>მუხლი 164. სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა</p> <p>სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე აკრძალული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს, – გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე. მეურნე სუბიექტების საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში მათ მიერ სავაჭრო ოპერაციების (მომსახურების) განხორციელება, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების შვიდასი მინიმალური ოდენობით.</p>	<p>ადეკვატური დებულებები</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
19	<p>მუხლი 8.</p> <p>წვერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების უფლებები:</p> <p>ამ დირექტივის მიზნებისათვის, კერძოდ, მისი მე-6 მუხლის შესაბამისად, წვერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ ქვემოთ მოცემული (ა) (ბ) და (გ) – პუნქტებით გათვალისწინებული ზომები;</p> <p>ა) ნებისმიერი პროდუქტის მიმართ:</p> <p>აღკვეთური მოცულობით მოახდინონ უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსების შემდგომი უსაფრთხოების შემოწმება, მის საბოლოო მოხმარებამდე;</p> <p>მონაწილე მხარეებისაგან მოითხოვონ ყველა საჭირო ინფორმაცია;</p> <p>აიღონ პროდუქტის ნიმუშები უსაფრთხოების შემოწმებისათვის;</p> <p>(ბ) ნებისმიერი პროდუქტისათვის, რომელსაც განსაზღვრულ პირობებში გააჩნია რისკი:</p> <p>მოითხოვონ მასზე შესაბამისი ნათლად ჩამოყალიბებული და ადვილად გასაგები გაფრთხილების დატანა არსებული რისკების თაობაზე, იმ წვერი სახელმწიფოების ენებზე, რომელთა ბაზარზეც განთავსდა პროდუქტი;</p> <p>უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განახორციელონ ბაზარზე განთავსების წინმსწრები ზედამხედველობა</p> <p>(გ) პროდუქტისადმი, რომელიც შეიცავს რისკს გარკვეული ადამიანებისათვის: მოითხოვონ მათი დროული და ადეკვატური გაფრთხილება, მათ შორის სპეციალური გაფრთხილების გამოქვეყნების ფორმით;</p> <p>(დ) ნებისმიერი პროდუქტისადმი, რომელიც შეიძლება იყოს საშიში: უსაფრთხოების შემოწმების, ანალიზისა და კონტროლისათვის საჭირო პერიოდით დროებით აკრძალონ პროდუქტის მიწოდება ბაზარზე, განთავსება და შეთავაზება;</p> <p>(ე) ნებისმიერი საშიში პროდუქტისათვის: აკრძალონ მისი რეალიზაცია და გაატარონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ მისი აღსრულება;</p> <p>(ფ) ნებისმიერი საშიში პროდუქტისათვის, რომელიც უკვე ბაზარზეა:</p> <p>მოითხოვონ ან ორგანიზება გაუწიონ მის ფაქტობრივ და დაუყოვნებლივ ამოღებას ბაზრიდან და მოახდინონ მომხმარებელთა გაფრთხილება რისკების შესახებ, რომლებსაც აღნიშნული პროდუქტი შეიცავს;</p> <p>მოითხოვონ ან კოორდინაცია გაუწიონ ან, საჭიროების შემთხვევაში, მწარმოებლებთან და დისტრიბუტორებთან ერთად უზრუნველყონ პროდუქტის მომხმარებლებისგან გამოთხოვა და მისი შესაბამისი პირობებში განადგურება.</p> <p>15.1.2002 EN Official Journal of the European Communities L 11/11</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქტის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 25. კომპეტენტური ორგანოების უფლებები</p> <p>1. ამ კანონისა და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით კომპეტენტური ორგანოებს აქვთ შემდეგი ძირითადი უფლებები:</p> <p>ა) ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში:</p> <p>ა.ა) განახორციელონ უსაფრთხო პროდუქტის სახით ბაზარზე გატანილი პროდუქტის შემოწმება და ამ მიზნით აიღონ მისი ნიმუშები;</p> <p>ა.ბ) მწარმოებელს ან დისტრიბუტორს მოსთხოვონ აუცილებელი ინფორმაცია;</p> <p>ბ) ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, რომლის განსაზღვრულ პირობებში გამოყენება უკავშირდება რისკს:</p> <p>ბ.ა) მოითხოვონ რისკის თაობაზე შესაბამისი, ნათლად ჩამოყალიბებული გაფრთხილების პროდუქტისაზე დატანა ქართულ ენაზე;</p> <p>ბ.ბ) მოითხოვონ პროდუქტის რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;</p> <p>გ) ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს საფრთხეს პირთა განსაზღვრული წრისათვის, მოითხოვონ ამ პირთა გაფრთხილება გონივრულ ვადაში და სათანადო ფორმით, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, რისკის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება;</p> <p>დ) ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება სახიფათო იყოს, შესამოწმებლად საჭირო პერიოდის განმავლობაში დროებით შეზღუდოს ხელმისაწვდომობა;</p> <p>ე) ნებისმიერი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც ჯერ არ გატანილა ბაზარზე, აკრძალოს მისი ხელმისაწვდომობა და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები აკრძალვის გასაკონტროლებლად;</p> <p>ვ) ბაზარზე გატანილი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში:</p> <p>ვ.ა) გამოსცეს ბაზრიდან მისი ამოღების აქტი და ორგანიზება გაუწიოს მის დაუყოვნებლივ შესრულებას; გაავრცელოს ინფორმაცია რისკის თაობაზე;</p> <p>ვ.ბ) უზრუნველყოს მომხმარებლებისაგან მისი ამოღება და განადგურება მწარმოებელთან ან/და დისტრიბუტორთან კოორდინაციით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დამოუკიდებლად.</p> <p>2. თუ კომპეტენტური ორგანო არ ფლობს შესაბამის საშუალებებს პროფესიული ექსპერტიზის განახორციელებლად, მას შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართოს შესაბამის ორგანოს.</p>	<p>ადეკვატური დებულებები</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
---	---	---------------------------	----------------	------------------------

20	<p>როდესაც წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები იღებენ ისეთ ზომებს, რომლებიც მოცემულია პირველ პუნქტში, i კერძოდ კი, მის (d) – (f) ჩათვლით პუნქტებში, მათ უნდა იმოქმედონ ხელშეკრულების, კერძოდ, მისი 28-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, იმგვარად, რომ ზომები გატარდეს რისკის სერიოზულობის პროპორციულად და სათანადო ყურადღება მიენიჭოს პრევენციულობის პრინციპს. ამ კონტექსტში, მათ ხელი უნდა შეუწყონ და წაახალისონ მწარმოებლებისა და დისტრიბუტორების ნებაყოფლობითი ქმედებები, ამ დირექტივით მათთვის დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში, კერძოდ კი, მისი III თავის შესაბამისად, მათ შორის, კარგი პრაქტიკის კოდექსების შემუშავების მეშვეობით.</p> <p>აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოითხოვონ ან უზრუნველყონ I(f) პუნქტში მოცემული ზომების გატარება, თუ მწარმოებლების და დისტრიბუტორების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად გატარებული ზომები არ არის დამაკმაყოფილებელი ან არასათანადოა. გამოთხოვა შესაძლებელია როგორც უკანასკნელი ზომა და იგი უნდა განხორციელდეს დადებითი პრაქტიკის კოდექსების ფარგლებში წევრ სახელმწიფოებში, ასეთი კოდექსების არსებობის შემთხვევაში.</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>მუხლი 26. კომპეტენტური ორგანოების მოვალეობები კომპეტენტურმა ორგანოებმა ამ კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების გატარებისას უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით და რისკის ხარისხის გათვალისწინებით.</p>	<p>ადეკვატური დებულებები</p>
21	<p>კომპეტენტურ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ ძალაუფლება, რათა საჭირო ოპერატიულობით იმოქმედონ და გაატარონ შესაბამისი ზომები, რომლებიც მოცემულია 1, (b) – (f) პუნქტებში, იმ შემთხვევაში, თუ პროდუქცია სერიოზულ რისკს შეიცავს. ეს გარემოებები განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურად შეფასებით II დანართის მე-8 პუნქტში მოცემული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>იხ. ნაწილი №19</p>	<p>ადეკვატური დებულებები</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელებული ზის სტატუსი
22	<p>4. ამ მუხლით გათვალისწინებული კომპეტენტური ორგანოების მიერ მისაღები ზომები შესაბამისად უნდა იყვნენ მიმართული:</p> <p>ა) მწარმოებლებისადმი; ბ) დისტრიბუტორებისადმი, მათი საქმიანობის ფარგლებში, და კონკრეტულად ყველა მხარისადმი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროდუქციის ეროვნულ ბაზარზე რეალიზაციისათვის პირველად განთავსებაზე; გ) ყველა სხვა პირისადმი, საჭიროების შემთხვევაში, პროდუქციისგან გამოწვეული რისკის აცილების კონტექსტში.</p>	N/A	N/A	უნდა აისახოს კანონმდებლო ბაზაში
23	<p>მუხლი 9. წევრმა სახელმწიფოებმა ევოქტური საბაზრო ზედამხედველობის განსახორციელებლად, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად და გულისხმობს კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობას, უნდა უზრუნველყონ ყველა შესაბამისი საშუალებებისა და პროცედურების გატარება, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს: ა) დარგობრივი ზედამხედველობის პროგრამების შექმნას პროდუქციის კატეგორიების ან რისკების მიხედვით, მათ პერიოდულ განახლებას, იმპლემენტაციას, საზედამხედველო საქმიანობის, მიღებული მონაცემების და შედეგების მონიტორინგს; ბ) პროდუქციის უსაფრთხოების სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გაღრმავებასა და განახლებას; გ) საკონტროლო საქმიანობის, მისი ევოქტურობის პერიოდულ შემოწმებას, შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობის მეთოდების და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ფუნქციონირების ევოქტურობის საკითხების გადასინჯვას.</p>	N/A	N/A	უნდა აისახოს კანონმდებლო ბაზაში
24	<p>2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მომხმარებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, შეიტანონ საჩივრები კომპეტენტურ ორგანოებში პროდუქციის უსაფრთხოების, ზედამხედველობისა და კონტროლის საკითხებზე, და ასეთ საჩივრებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა კომპეტენტური ორგანოების მხრიდან. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ევოქტური ინფორმირება ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის შემოღებული პროცედურების შესახებ.</p>	საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“	<p>მუხლი 6, პუნქტი 1 – დამამზადებელი (გამყიდველი) ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას.</p> <p>მუხლი 6, პუნქტი 2, „ლ“ ქვეპუნქტი – მომხმარებელს პროდუქციის შესახებ უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია: მომხმარებელთა პრეტენზიის მისაღები ადგილის რეკვიზიტები, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების საწარმოო ერთეულის მისამართი.</p> <p>მუხლი 15. საქონლის ნაკლოვანებებთან დაკავშირებული პრეტენზიებით მომხმარებელს შეუძლია მიმართოს გამყიდველს ან უშუალოდ დამამზადებელს.</p>	შესაბამისობაშია

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
25	<p>მუხლი 11.</p> <p>1. თუ წევრ სახელმწიფოს შეტყობინების გაკეთება არ მოეთხოვება მე-12 მუხლის ან ევროკავშირის სხვა კანონმდებლობის შესაბამისად და როდესაც ასეთი სახელმწიფო იღებს ზომებს, რომელთა მიხედვითაც ხდება პროდუქციის ბაზარზე განთავსების შეზღუდვა ან მოითხოვს მათ ბრუნვიდან ამოღებას ან უკან გაწვევას, როგორც ეს მოცემულია მე-8 მუხლის (1)(b) – (f) პუნქტებში, – მან უნდა აცნობოს კომისიას ამ ზომების შესახებ და განმარტოს, თუ რამ გამოიწვია მათი მიღება. სახელმწიფომ ასევე უნდა აცნობოს კომისიას აღნიშნული ზომების შეცვლის ან მოხსნის თაობაზე.</p> <p>2. თუ წევრი სახელმწიფო ჩათვლის, რომ რისკის შედეგები არ გასცდება მის ტერიტორიას, მან სხვა წევრ სახელმწიფოებს უნდა აცნობოს შესაბამისი ზომების შესახებ იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ზომები შეიცავს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის პროდუქციის უსაფრთხოების კუთხით, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ახალ რისკს, რომლის შესახებ ჯერ არ მომხდარა ინფორმაციის მიწოდება სხვა შეტყობინებებში. ამ დირექტივის მე-15(3) მუხლში გაწერილი პროცედურების შესაბამისად კომისიამ სისტემის ეფექტურობისა და სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით უნდა მიიღოს სახელმძღვანელო ინსტრუქციები (გაიდლაინები), როგორც დადგენილია II დანართის მე-8 პუნქტის მიხედვით. აღნიშნულმა გაიდლაინებმა უნდა დაადგინონ ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების სტანდარტული ფორმა და მისი შინაარსი და იმ გარემოებათა დადგენის ზუსტი კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს შეტყობინების გაკეთება მე-2 პუნქტის მიზნებისათვის. L 11/12 EN ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი 15.1.2002</p>	<p>საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“</p>	<p>იხ. ნაწილი №19</p>	<p>ადეკვატური დებულებები</p>

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
26	<p>მუხლი 12</p> <p>როდესაც წევრი სახელმწიფო იღებს ან გადაწყვეტს, რომ მიიღოს, შეათანხმებს ან რეკომენდაციას გაუწევს მწარმოებლებთან და დისტრიბუტორებთან გარკვეულ ზომებს, ნებაყოფლობით ან იძულებით საწყისებზე, რომლებიც ზღუდავენ, კრძალავენ ან ადგენენ სპეციფიკურ პირობებს პროდუქციის განთავსებისადმი მისი ტერიტორიის ფარგლებში, სერიოზული რისკის არსებობის მიზეზით, – ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კომისიას RAPEX-ის მეშვეობით. მან ასევე კომისიას დროულად უნდა აცნობოს ამგვარი ზომების ნებისმიერი ცვლილების ან მათი გაუქმების შესახებ. თუ შეტყობინების გამცემი წევრი სახელმწიფო ჩათვლის, რომ რისკის შედეგები არ ვრცელდება მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მან უნდა იმოქმედოს მე-11 მუხლში მოცემული პროცედურების შესაბამისად და მე-2 დანართის მე-8 პუნქტის სახელმძღვანელო ინსტრუქციებში მოცემული შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით. წევრ სახელმწიფოებს პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღებამდე და ქმედებების განხორციელებამდე შეუძლიათ კომისიას მიაწოდონ სერიოზული რისკის არსებობის თაობაზე მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია. სერიოზული რისკის შემთხვევაში მათ უნდა აცნობონ კომისიას დისტრიბუტორებისა და მწარმოებლების მიერ განხორციელებული იმ ნებაყოფლობითი ზომების შესახებ, რომლებიც ამ დირექტივის მე-5 მუხლშია მოცემული.</p>	N/A	N/A	უნდა აისახოს კანონმდებლო ზაში
27	<p>4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა მოახდინონ პირველ პუნქტში მოცემული გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია არანაკლებ 20 დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარ გადაწყვეტილებებში განსხვავებული ვადაა დადგენილი.</p> <p>5. კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პირველ პუნქტში მოცემული ზომების გატარებისათვის, დაინტერესებულ მხარეებს უნდა მისცენ საშუალება ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და ამის თაობაზე აცნობონ კომისიას.</p>	N/A	N/A	უნდა აისახოს კანონმდებლო ზაში

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
28	<p>მუხლი 16</p> <p>1. წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების ან კომისიის ხელთ არსებული ინფორმაცია მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე არსებული რისკების შესახებ უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გამჭვირვალობის პრინციპის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონიტორინგისა და გამოძიების მიზნებისათვის დაწესებულია რიგი შეზღუდვები. კერძოდ, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროდუქტის იდენტიფიკაციასთან, არსებულ რისკებსა და მიღებულ ზომებთან დაკავშირებული ინფორმაცია. წევრმა სახელმწიფოებმა და კომისიამ უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა მათმა მოხელეებმა და წარმომადგენლებმა არ</p>	ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი	<p>მუხლი 2, ქვეპუნქტი „მ“ საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია; “ნ” საიდუმლო ინფორმაცია – საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.</p>	შესაბამისობაშია

<p>გაავრცელონ ამ დირექტივით გათვალისწინებული მიზნებისათვის მიღებული ინფორმაცია, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებთან. ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუ შესაბამისი გარემოებები მოითხოვს, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.</p> <p>2. პროფესიული საიდუმლოს შენახვა არ უნდა აბრკოლებდეს ბაზრის ეფექტური მონიტორინგის და ზედამხედველობის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას კომპეტენტური ორგანოებისათვის. სახელმწიფო წარმომადგენლებმა და კომპეტენტური ორგანოების მოხელეებმა უნდა უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული პროფესიული საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის დაცვა.</p>	<p>მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა</p> <p>1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.</p> <p>2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.</p>	
---	--	--

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
29	<p>მუხლი 17</p> <p>ეს დირექტივა არ ეწინააღმდეგება 85/374/EEC დირექტივის გამოყენებას.</p> <p>მუხლი 18</p> <p>1. ნებისმიერი ზომა, რომელიც მიღებულ იქნა ამ დირექტივის შესაბამისად და მოიცავს შეზღუდვების დაწესებას პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის ან მოითხოვს მის ამოღებას ან გამოთხოვას, უნდა შეიცავდეს შესაბამის ახსნა-განმარტებებს, თუ რატომ იქნა ეს ზომები მიღებული. აღნიშნულის შესახებ უმოკლეს ვადაში უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და მიეთითოს წევრ სახელმწიფოში მოქმედი დებულებების შესაბამისად ხელმისაწვდომი დარღვევათა გამოსწორების საშუალებები და შესაბამისი ვადები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ზომების მიღებისათვის. დაინტერესებულ მხარეებს, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მიეცეს საშუალება, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები ნებისმიერი ზომის მიღებამდე. თუ ეს ზომები წინასწარ არ იქნა მიღებული მათი გადაუდებლობის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შესაბამის გონივრულ ვადაში წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები ზომების მიღების შემდგომ. პროდუქციის ბაზრიდან ამოღებასა და მომხმარებლებისაგან მის გამოთხოვასთან დაკავშირებული ზომები ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ წამახალისებელ მექანიზმებს დისტრიბუტორებისა და მომხმარებლებისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ამგვარი გადაწყვეტილებების აღსრულებაში.</p>	N/A	N/A	უნდა აისახოს კანონმდებლობაში

№	პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა	საქართველოს კანონმდებლობა	კანონის ტექსტი	განხორციელების სტატუსი
---	---	---------------------------	----------------	------------------------

30	<p>2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა, რომელიც აწესებს შეზღუდვებს პროდუქტის ბაზარზე განთავსებაზე ან მოითხოვს მისი ბაზრიდან ამოღებას ან მომხმარებლებისაგან მის გამოთხოვას, ექვემდებარება გასაჩივრებას კომპეტენტურ სასამართლოში.</p> <p>ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს ბაზარზე პროდუქციის განთავსების შეზღუდვას, მისი ბაზრიდან ამოღებას ან მომხმარებლებისაგან გამოთხოვას, მიუხედავად მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობისა, უნდა შეესაბამებოდეს წევრ სახელმწიფოში არსებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მოთხოვნებს. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გაუწიონ ყველა საჭირო დახმარება და მიაწოდონ აუცილებელი ინფორმაცია შეფასებების წარმოებისათვის და მოხსენებების მომზადებისათვის.</p>	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	<p>მუხლი 2. უფლების სასამართლო წესით დაცვა</p> <p>1. ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.</p> <p>2. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.</p>	ადეკვატური დებულებები
31	<p>წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული ამგვარი ზომები უნდა შეიცავდნენ მითითებას ამ დირექტივაზე, ან მათ უნდა დაერთოს ამგვარი მითითება ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში. ამგვარი მითითების გაკეთების მეთოდები უნდა შეიმუშაონ წევრმა სახელმწიფოებმა.</p> <p>2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ კომისიას ადგილობრივი კანონმდებლობის ის დებულებები, რომლებიც მიღებულია ამ დირექტივით რეგულირებულ საკითხებზე.</p>	N/A	N/A	უნდა აისახოს კანონმდებლო ბაზი